დანართი №5

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის

<u>თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა)</u>

VIII დონე

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

23 იანვარი

დასკვნის წარდგენის თარიღი

12 მარტი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 13

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 16

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 32

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 46

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 51

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 63

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**203851028**
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თამარ ჩხეიძე,** თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თინათინ გაბრიჩიძე,** ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თამარ თხელიძე,** აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა)
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Directing of Theatre (Performing Arts – Creative Pedagogy)
უმაღლესი განათლების საფეხური	სადოქტორო, უმაღლესი განათლების III საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	თეატრის რეჟისურის დოქტორი Doctor of Directing
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	თეატრის რეჟისურა (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) Directing (drama, musical theatre, pantomime, puppetry) **0215.1.2**
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №1642034; 4/12/2023
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (მაგ.: უცხო ენის ფლობის დონე, კვლევის თეზისი/პროექტი, შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	○ კვლევის/შემოქმედებითი კვლევის კონცეფციის (თეზისი) წარდგენა; ○ არანაკლებ **2 წლიანი** პრაქტიკული, შემოქმედებითი ან პედაგოგიური **გამოცდილება თეატრალურ სფეროში;** ○ ინგლისური ენის ცოდნა **არანაკლებ B2 დონეზე**, ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული ენის B2 დონე **და** ინგლისურის **B1 დონე**.

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად სადოქტორო ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 4 დეკემბრის №1642034 გადაწყვეტილებით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას „თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა)“ მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2030 წლის 4 დეკემბრამდე), 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტაციის სტანდარტებთან **პროგრამის შესაბამისობა შეფასდა** შემდეგნაირად: **I, II, IV** და **V სტანდარტები მეტწილ შესაბამისობაში** მოთხოვნებთან, ხოლო **III სტანდარტი სრულ შესაბამისობაში.**
აკრედიტაციის პირობების მონიტორინგის გზით შემოწმების ფარგლებში განისაზღვრა აკრედიტაციის ყველა სტანდარტის შეფასება. საბჭოს მიერ ჩამოყალიბდა 28 რეკომენდაცია (**11 პროგრამული რეკომენდაცია** (**1.2** კომპონენტში - **2** რეკომენდაცია, **1.4, 2.1, 2.2, 2.3** და **2.4** კომპონენტებში **თითო** რეკომენდაცია, ხოლო **1.5** კომპონენტში გაცემულია **4** რეკომენდაცია) და **17** კლასტერული (**1.5.** კომპონენტში - **4** რეკომენდაცია სადაც 1 და 2 ერთმანეთს იმეორებს, **2.2.** კომპონენტში - **4** რეკომენდაცია, თუმცა, აქაც, ტექნიკური ხარვეზის გათვალისწინებით (**2** რეკომენდაცია დუბლირებულია) რეალურად, **3** რეკომენდაციაა გაცემული; **2.3, 2.4, 4.3, 4.5, 5.2** კომპონენტებში - თითო რეკომენდაცია, ხოლო **4.4 და 5.1** კომპონენტებში - 2-2 რეკომენდაცია (საბოლოოდ, ჯამურად - **15 კლასტერული).** ამრიგად, **პროგრამული რეკომენდაციები მიემართებოდა I და II სტანდარტის კომპონენტებს.**

რეკომენდაციები:

ა) <u>**პროგრამული რეკომენდაციები**</u>

1.2. კომპონენტი - პროგრამის სწავლის შედეგები

რეკომენდაცია 1.
რეკომენდებულია, გადაიხედოს თეატრის რეჟისურის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები და ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მესამე დონის შესაბამისად.

რეკომენდაცია 2.

რეკომენდებულია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სამეცნიერო და მხატვრული კვლევის შედეგები და უფრო ნათლად იქნას წარმოდგენილი მათ შორის ურთიერთკავშირი.

1.4 კომპონენტი - პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

რეკომენდაცია 3.

რეკომენდებულია, რომ დოქტორანტებმა კვლევა ჩაატარონ თანამედროვე, თავიანთ დისციპლინებთან შესაბამის სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით და გამოიყენონ ის მდიდარი კვლევითი გამოცდილება, რომელიც მათ შეიძინეს პროგრამის ძლიერი კვლევითი მოდულის, განსაკუთრებით კი აკადემიური წერის კურსის მეშვეობით.

1.5 კომპონენტი - სასწავლო კურსი/საგანი.

რეკომენდაცია 4.

პროგრამას აკლია ანალოგი სადოქტორო პროგრამების სიღრმისეული ანალიზი, კომპონენტი, რომელიც, ექსპერტების აზრით, გადამწყვეტია პროგრამის ეფექტურობისა და გაუმჯობესებისთვის. კატეგორიულად რეკომენდებულია ასეთი ანალიზის მიწოდება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

რეკომენდაცია 5-6.

5. რეკომენდებულია „თეატრის რეჟისურის“ სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები შესაბამისობაში მოვიდეს „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ სილაბუსში შემუშავებულ სტანდარტებთან.

6. რეკომენდებულია განახლდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა საშემსრულებლო თეორიისა და თანამედროვე დრამატურგიის სფეროში არსებული შესაბამისი რესურსებით.

რეკომენდაცია 7.

რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო კურსის „ლიტერატურული ტექსტის ადაპტაცია დრამატულ თეატრში“ მიზნები, სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმები.

2.1. კომპონენტი

რეკომენდაცია 8.

სავალდებულოა, რომ პროგრამამ სრულყოფილად და დეტალურად გამოაქვეყნოს პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

2.2. კომპონენტი - პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

რეკომენდაცია 9.

რეკომენდებულია, თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას აკადემიური განათლების მესამე საფეხურის შესაბამისი კვლევითი პროექტების მომზადება.

2.3. კომპონენტი - სწავლება-სწავლის მეთოდები

რეკომენდაცია 10.

რეკომენდებულია, თეატრის რეჟისურის (შემოქმდებეითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამაში გათვალისინებულ იქნას საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული შემოქმედებითი კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიები.

2.4. კომპონენტი - სტუდენტების შეფასება .

რეკომენდაცია 11.

ექსპერტთა რეკომენდაციაა სადოქტორო პროგრამის კურსების შეფასების სისტემა გახდეს უფრო კომპლექსური და რაფინირებული. დავალებები მოიცავდეს ფართო სპექტრს და მეტ აქცენტს აკეთებდეს კვლევაზე ორიენტირებულ ამოცანებზე. ზოგადად, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში გამოყენებული შეფასების სისტემების პირდაპირი გამოყენება შესაძლოა არ იყოს

ყველაზე ოპტიმალური მიდგომა. დავალებები უნდა მოითხოვდეს უფრო ღრმა კვლევასა და კრიტიკულ ანალიზს, რომელიც შეესაბამება დოქტორანტურის ზედა დონის აკადემიურ მოთხოვნებს.

<u>ბ) კლასტერული რეკომენდაციები:</u>

1.5.კომპონენტი

1. რეკომენდებულია, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების თეორიული მიმართულების სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურას დაემატოს ქართულ და ინგლისურენოვანი უახლესი სამეცნიერო სტატიები და პუბლიკაციები;
2. რეკომენდებულია, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების თეორიული მიმართულების სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურას დაემატოს ქართულ და ინგლისურენოვანი უახლესი სამეცნიერო სტატიები და პუბლიკაციები.
3. რეკომენდებულია, რამდენიმე სემესტრიან სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსთან.
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში დაზუსტდეს წინაპირობები, სწავლების ფორმები და შეფასების სისტემა.

2.2. კომპონენტი

1. რეკომენდებულია კვლევებთან დაკავშირებული ყველა სილაბუსში დაინერგოს ის მკაცრი სტანდარტები, რომლებიც მოცემულია სილაბუსში „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“.
2. რეკომენდებულია ვენის 2020 წლის დეკლარაციის პრინციპების გამოყენება. (https://societyforartisticresearch.org) ყველა მხატვრულ კვლევაზე.
3. რეკომენდებულია, თეორიული მიმართულების სასწავლო კურსებში გათვალისწინებულ იქნას სწავლებისა და კვლევის უახლესი მეთოდები.
4. რეკომენდებულია ვენის 2020 წლის დეკლარაციის პრინციპების გამოყენება. (https://societyforartisticresearch.org) ყველა მხატვრულ კვლევაზე.

2.3. კომპონენტი

1. პროგრამაში რეკომენდებულია უახლესი, თანამედროვე შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიების გამოყენება.

2.4. კომპონენტი

1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში გამოცდების სტრუქტურა, ფორმატი და თემატიკა შესაბამისობაში მოვიდეს აკადემიური განათლების საფეხურთან.

4.3. კომპონენტი

1. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა წაახალისოს თავისი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა, განსაკუთრებით მათი, ვინც ჩართულია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში, რათა გაზარდოს არა მხოლოდ მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, არამედ გამოაქვეყნოს სტატიები ადგილობრივ და საერთაშორისო რეცენზირებად (რეფერირებად ან სამეცნიერო) ჟურნალებში.

4.4. კომპონენტი

1. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა იმუშაოს ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის დივერსიფიკაციისთვის, გაამდიდროს ფონდები მნიშვნელოვანი თანამედროვე ავტორებით, რომლებიც დაკავშირებულია სწავლის სფეროებთან.
2. რეკომენდებულია, ბიბლიოთეკას ჰქონდეს სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა.

4.5. კომპონენტი

1. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ იმუშაოს ცალკე ბიუჯეტებზე კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამისთვის.

5.1. კომპონენტი:

1. რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა დაამყაროს ოფიციალური ურთიერთობები დამსაქმებლებთან. უნივერსიტეტის წევრებს აქვთ ზეპირი საუბარი მათთან და შეიძლება გამორჩეთ მნიშვნელოვანი გამოხმაურება პროგრამის(ებ)ის განვითარებისთვის.

2. დეპარტამენტმა ასევე უნდა შექმნას მოწინავე ინსტრუმენტები აკადემიური პატიოსნებისა და სადოქტორო პროგრამის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

5.2. კომპონენტი:

1. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნას პროგრამის გარე შეფასების სტრატეგია და დაეხმაროს უნივერსიტეტს, მიიღოს კოლეგიალური შეფასება კლასტერის თითოეული პროგრამისთვის, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში **2026 წლის 23 იანვარს** განხორციელდა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა)“ **გეგმიური მონიტორინგი,** პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (გეგმური მონიტორინგის საფუძველია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 4 დეკემბრის №1642034 გადაწყვეტილება).
ვიზიტის განხორციელებამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის ორგანიზებით გამართეს სამუშაო შეხვედრა, შეისწავლეს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიწოდებული დოკუმენტაცია: აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, მონიტორინგის პროცესისთვის დაწესებულებიდან გამოთხოვილი დოკუმენტაცია (რომელიც მოიცავდა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციას, რეკომენდაციების შესრულების ამსახველ მასალებს და დამადასტურებელი დოკუმენტაციას). 2026 წლის 23 იანვარს წინასწარ დადგენილი განრიგის მიხედვით, თითოეულ მიზნობრივ ჯგუფთან ინდივიდუალურად (ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის

ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან, დამსაქმებლებთან/სტაჟირების განმახორციელებლ პირთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან) ჩატარდა სამუშაო შეხვედრები/ინტერვიურება, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსების შესწავლა/ დათვალიერება. ვიზიტი კონსტრუქციულ გარემოში წარიმართა, დაწესებულების წარმომადგენლები გამოირჩეოდნენ თანამშრომლობით და ღია იყვნენ დისკუსიებისადმი. შეხვედრები გაიმართა მშვიდ, კოლეგიალურ გარემოში. ვიზიტის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც დროულად იქნა მოწოდებული.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის დაწესებულების წარმომადგენლებს საინტერესო და საქმიანი დისკუსიისთვის, მოწესრიგებული დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის, რამაც გაუდვილა ექსპერტთა ჯგუფს მონიტორინგის პროცესში დოკუმენტების შესწავლა, საანგარიშო პერიოდში დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობის ანალიზი და რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შეფასება.

- **სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად გამოვლინდა, რომ რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით, დრამის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო პროგრამის **სამუშაო ჯგუფი**. სამუშაო პროცესს ხელმძღვანელობდა დრამის ფაკულტეტის ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან კოორდინაციაში. **სამუშაო ჯგუფის მიზანად** განისაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი, სტრუქტურული და პრაქტიკული კომპონენტების გადახედვა და გაუმჯობესება აკრედიტაციის სტანდარტებისა და გარე შეფასებებით გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარა არა მხოლოდ უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯებესების კუთხით, არამედ იმ მნიშვნელოვანი ცვლილებების ინიცირებით, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების ხარისხის ამაღლებასა და განვითარებას. ყოველი ცვლილება ითვალისწინებდა 2024 წელს დამტკიცებული სადოქტორო საფეხურის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს, რის საფუძველზეც განხორციელდა რეგულაციებისა და დებულებების შესაბამისობაში მოყვანა და დახვეწა. კერძოდ, ძირეულად გადამუშავდა „სადისერტაციო საბჭოს დებულება“, რომელიც აღიჭურვა დანართებით, შეიქმნა საგანგებო, მიზნობრივი კითხვარები და ფორმულარები, მოხდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების ჩამოყალიბება და ა.შ. აღნიშნულმა სახელმძღვანელო-სამუშაო ბაზის შექმნამ (დებულების დანართები და ა.შ.) პროცესის ადმინისტრირებასთან ერთად, გააიოლა დოქტორანტებისთვის ვალდებულებების, სამუშაოების წარდგენისა და ვადების დაცვაში

ხელშეწყობა. სახელოვნებო კვლევების მიმართულებით შესწავლილ იქნა საერთაშორისო გამოცდილება, შემუშავდა „დრამის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო ანალოგები - დადარების დოკუმენტი“, „სადოქტორო პროგრამის საერთაშორისო ანალოგების“ დოკუმენტი, რამაც შექმნა შესაძლებლობა პროგრამაში სახლოვნებო დარგების სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციები ასახულიყო. შემუშავდა „მხატვრული კვლევის სტრატეგია საშემსრულებლო ხელოვნებისთვის“, სადაც განისაზღვრა მხატვრული კვლევის სტანდარტი, როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო სწავლების საფეხურზე. დოკუმენტში ასახულია ვენის დეკლარაციის ძირითადი პრინციპების (The Vienna Declaration on Artistic Research), ევროპული მხატვრული კვლევის ქსელის (European Artistic Research Network (EARN) და მხატვრული კვლევის საზოგადოების (The Society for Artistic Research (SAR)) ძირითადი პრინციპები. ზემოაღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკის, უახლესი კვლევების მეთოდების გამოყენებას და დანერგვას სასწავლო პროცესში.
წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ პროგრამის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებული საკითხები სათეატრო ხელოვნების მიმართულების მიმართულების სამუშაო ჯგუფში განიხილებოდა, ხოლო პროგრამის ბიუჯეტთან, ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები - უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან ხარისხის სამსახურის შეხვედრებზე, რომელშიც ჩართულნი იყვნენ: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკის გამგე, დრამის ფაკულტეტის დეკანი. სათეატრო ხელოვნების მიმართულების სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობდნენ პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ინტერვიუირების პროცესში დადასტურდა მხარეთა ჩართულობა და მონაწილობა წინასწარ განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად.

დოკუმენტაციის გაცნობამ ცხადყო, რომ საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით შემუშავდა ახალი რეგულაციების პროექტები, რომლებიც განხილული იყო შესაბამის მიმართულებებზე და დამტკიცდა ფაკულტეტისა და აკადემიურ საბჭოებზე. რეკომენდაციების შესაბამისად დაწესებულებამ განაახლა პროგრამის შესაბამისი დოკუმენტები.

დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები დოკუმენტირებულია და ასახულია შესაბამისი სხდომების ოქმებში, ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებში, რაც ანგარიშზეა თანდართული.

მონიტორინგის შედეგად, აკრედიტაციის ჯგუფმა დაადგინა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია და განსაზღვრა, რომ განახლებული პროგრამა სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  -

- **რჩევები**

  -

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** -

    პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 პირი. აქედან 7 აკადემიური პერსონალი (3 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი), 7 მოწვეული პესონალი და 2 სამეცნიერო პერსონალი. დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონეა 5 პირი. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობაა 7/2/7; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა 7/7; დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა 5 სტუდენტი/2 ხელმძღვანელი.

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერეცნიებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

  - **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

  - **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** - 26 სტუდენტი. 2 აქტიური სტატუსის მქონე, 24 შეჩერებული.

  - თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[3]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	აკრედიტაციის სტანდარტი	სადოქტორო ჩარჩოს სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**	**შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	1.1 მიზანი და სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	1.1 მიზანი და სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	–	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	1.2 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	–	შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	1.3 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	–	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	–	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	1.4 დოქტორანტის შეფასება	შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**2. დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმები და ხელმძღვანელობა**	**შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	2.1 დოქტორანტთა მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია
3.2	დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	2.2 დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობის განხორციელება	შესაბამისობაშია
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**3. რესურსები**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	3.1 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2	დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	3.2 სამეცნიერო ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	–	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	3.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	3.3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება	შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**4. ხარისხის უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	4.1 შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	–	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	–	შესაბამისობაშია

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი

აკრედიტაციის სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის აკრედიტაციის პროცესში ექსპერტებმა საბოლოო დასკნაში განსაზღვრეს პროგრამის მიზნების კომპონენტის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა, თუმცა გასცეს კლასტერული რჩევა: მიზანშეწონილია, უსდ-მ გაითვალისწინოს დარგების უახლესი ტენდენციები, ხოლო მიზნები სამიზნე ნიშნულებსა და დარგებში არსებულ ყველაზე წარმატებულ კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოიყვანოს. რაც შეიძლება ადვილად და შედეგიანად გაკეთდეს თვითშეფასების ანგარიშში მოხსენიებული მრავალი გამორჩეული ინსტიტუტის იმ მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზით, რომლებიც ამ კონკრეტულ პროგრამაში ან თვითშეფასების ანგარიშის სხვა პროგრამებში მითითებულია, როგორც საერთაშორისო ინდიკატორი, ანალოგი.

დაწესებულებამ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა რჩევების გათვალისწინებით და განაახლა პროგრამა. შეისწავლა საერთაშორისო გამოცდილება,

შეიმუშავა „დრამის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო ანალოგები - დადარების დოკუმენტი“, „სადოქტორო პროგრამის საერთაშორისო ანალოგების“ დოკუმენტი, რამაც შექმნა შესაძლებლობა პროგრამაში სახლოვნებო დარგების სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციები ასახულიყო.
სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს სათეატრო ხელოვნების განვითარებასა და კვლევებზე ორიენტირებულ სინთეზურ აკადემიურ პროგრამას, რომელიც ორიენტირებულია დარგის სპეციფიკის, მეთოდებისა და მიღწევების შესწავლასა და კვლევაზე, ეფუძნება შემოქმედებითი პრაქტიკისა და თეორიული ანალიზის სინთეზს, რაც რეალიზდება როგორც სპექტაკლის (შემოქმედებითი პროექტის) დადგმით, ასევე მასთან დაკავშირებული თეორიული დისერტაციის შექმნით. პროგრამის ეს მოდელი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს — Practice-as-Research — და ეფუძნება ვენის დეკლარაციით (2020) განსაზღვრულ მხატვრული კვლევის პრინციპებს.

სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს, დოქტორანტმა შეძლოს თეატრალური პრაქტიკისა და კვლევის ინტეგრირებული განხორციელება, რაც განაპირობებს ახალი მხატვრული, პედაგოგიური და მეთოდოლოგიური ღირებულებების შექმნას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონტექსტში.
პროგრამა სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიაში ფორმულირებულ მიზნებს, იკვლევს რა სადადგმო და საშემსრულებლო, ასევე შემოქმედებითი პედაგოგიკის საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საქართველოს და მსოფლიო სათეატრო ხელოვნების ისტორიას, პრაქტიკას და ამ დარგში თანამედროვე, უახლეს მოვლენათა კრიტიკულ შეფასებას. ასევე, შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიასთან, რომელიც წარმოდგენილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „მხატვრული კვლევის სტრატეგია საშემსრულებლო ხელოვნებისთვის“, სადაც განსაზღვრულია მხატვრული კვლევის სტანდარტი. ამ დოკუმენტში დოკუმენტში ასახულია ვენის დეკლარაციის ძირითადი პრინციპების (The Vienna Declaration on Artistic Research), ევროპული მხატვრული კვლევის ქსელის (European Artistic Research Network (EARN) და მხატვრული კვლევის საზოგადოების (The Society for Artistic Research (SAR)) ძირითადი პრინციპები.
ამრიგად, განახლებული პროგრამა წარმოდგენილი სახით სრულ შესაბამისობაშია კომპონენტის მოთხოვნებთან, გაითვალისწინებულია დარგის უახლესი ტენდენციები, შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტთან — Practice-as-Research — და ეფუძნება ვენის დეკლარაციით (2020) განსაზღვრულ მხატვრული კვლევის პრინციპებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
2. „მხატვრული კვლევის სტრატეგია საშემსრულებლო ხელოვნებისთვის“;
3. დოქტორანტების მიერ განხორციელებული (მათ შორის საერთაშორისო) შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტები;
4. დაწესებულების მისია;
5. ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით - კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა რომ დრამის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამის, სწავლის შედეგები ლოგიკურად გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან, მეტწილად შეესაბამება კომპონენტის მოთხოვნებს და უნივერსიტეტის მისიას. ასევე, დაადასტურდა აკადემიური პერსონალის, დოქტორანტების, კურსდამთავრებულების და გარკვეულწილად შრომის ბაზრის წარმომადგენლების ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში, რამაც განსაზღვრა მისი აკადემიური და პრაქტიკული ღირებულება. აქვე, არადმაჯერებლად მიიჩნია პროგრამის მიზნების განხორციელება. სწავლის შედეგების მისაღწევად განსაზღვრა თანამედროვე მიდგომებისა და უახლესი გამოცდილების გაზიარება და ჩამოაყალიბა **2 რეკომენდაცია:**

1. **რეკომენდებულია, გადაიხედოს თეატრის რეჟისურის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები და ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მესამე დონის შესაბამისად.**

რეკომენდაციის შესრულების მიზნით, საფუძვლიანად გადაიხედა თეატრის რეჟისურის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები. ამოცანა გულისხმობდა პროგრამის სწავლის შედეგების უმაღლესი განათლების მესამე დონის, სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სწავლის შედეგების დეტალური ანალიზი და მათი კორელაცია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დოქტორანტურის საფეხურის კომპეტენციებთან. სწავლების შედეგები გადამუშავდა და მასში მკაფიოდ აისახა როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი და მხატვრული/შემოქმედებითი კვლევის უნარების განვითარება, ასევე საერთაშორისო და ინტერდისციპლინარული კონტექსტში მოქმედების შესაძლებლობები.

სწავლის შედეგები ფორმულირებულია ამგვარად - „თეატრის რეჟისურის“ სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

1. ფლობს თანამედროვე თეატრალური ხელოვნების და შემოქმედებითი კვლევის თეორიულ საფუძვლებს, აცნობიერებს რეჟისურის პრაქტიკის მრავალმხრივ კონტექსტებს (ესტეთიკურ, სოციოკულტურულ, ისტორიულ და პედაგოგიურს) და იყენებს მათ დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.
2. შეუძლია ახალ ცოდნაზე ორიენტირებული კვლევითი და შემოქმედებითი პროექტის შექმნა, რომელიც ეფუძნება ორიგინალურ სარეჟისორო ხედვას, კონცეპტუალურ და პრაქტიკულ დამოუკიდებლობას და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით შემუშავებულ კვლევით მეთოდოლოგიას.
3. ვითარდება როგორც მკვლევარი, რომელიც ინტეგრირებულად იყენებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, ახორციელებს მხატვრულ კვლევას რეფლექსიური ანალიზის, დოკუმენტირების და პრეზენტაციის საშუალებით – ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროფესიულ სივრცეებში.
4. ხელს უწყობს თანამედროვე თეატრის გამოწვევების გარშემო პროფესიული დისკურსის განვითარებას. წარმოადგენს საკუთარ კვლევასა და პრაქტიკას საჯარო, აკადემიურ და პროფესიულ სივრცეში, ახდენს კვლევის შედეგების გავრცელებას და უერთდება ინტერდისციპლინურ და საერთაშორისო პლატფორმებს.
5. ფორმირდება როგორც შემოქმედებით-პედაგოგიური პრაქტიკის მქონე სპეციალისტი, რომელიც ეთიკური პასუხისმგებლობითა და კრიტიკული აზროვნებით წარმართავს სარეჟისორო პროცესებს, ავითარებს გუნდურ თანამშრომლობას, აგრძელებს პედაგოგიური სტრატეგიების დახვეწას და უწყობს ხელს სფეროს სტაბილურ და მდგრად განვითარებას.

ამრიგად, ჩამოყალიბდა 5 სრულყოფილი სწავლის შედეგი. თითოეული შედეგი ეხმიანება პროგრამის მიზნებს, კვლევის სტანდარტებს და შემოქმედებითი კომპეტენციების განვითარებას. გადამუშავდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა - პროგრამის თითოეული მიზანი მჭიდროდ უკავშირდება ერთზე მეტ სწავლის შედეგს, რაც მიანიშნებს მიზნებზე ორიენტირებულ პროგრამულ არქიტექტურაზე.

როგორც ჩანს, განახლებული შედეგები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების გაღრმავებას, ორიგინალური კვლევისა და ინოვაციური

შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას, პროფესიული დისკურსის მდიდარ არგუმენტირებულობასა და ეთიკურ პასუხისმგებლობას.

შესაბამისად განახლდა პროგრამის სწავლის შედეგების და სამიზნე ნიშნულების და პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების რუკა, სადაც მოცემულია თითოეული კურსის წვლილი კონკრეტული შედეგების მიღწევაში (1 – გაცნობა, 2 – გაღრმავება, 3 – განმტკიცება).

განახლებული შედეგები უკვე სრულად შეესაბამება დოქტორის საფეხურის მოთხოვნებს. ისინი უფრო მკაფიოდ აყალიბებენ დოქტორანტის უნარს არა მხოლოდ გამოიყენოს მიღებული ცოდნა, არამედ შექმნას ახალი ცოდნა და ინოვაციური პრაქტიკა. თუ ადრე შედეგები ძირითადად ხაზს უსვამდა ტექსტების, რეჟისორული მეთოდების და თეატრალური პრაქტიკის ცოდნას, ახლა ისინი ითვალისწინებენ კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავებას, თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების სინთეზს და შედეგების საერთაშორისო პლატფორმებზე გავრცელებას.
განსხვავება ასევე ჩანს პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ასპექტში: მკაფიოდ ჩამოყალიბებულია დოქტორანტის როგორც ავტონომიური მკვლევრისა და შემოქმედი პედაგოგის როლი, რომელსაც შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს სფეროს არსებული ვითარება და საკუთარი კვლევითა და პრაქტიკით ხელი შეუწყოს დისციპლინის განვითარებას.
პროგრამა ორიენტირებულია შემოქმედებითი კვლევის, თეორიისა და პრაქტიკის სინთეზზე. ის ავითარებს დოქტორანტის ინტელექტუალურ და შემოქმედებით ავტონომიას, უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, ხელს უწყობს სარეჟისორო, კვლევითი და პედაგოგიური კომპეტენციების გაღრმავებას და პროფესიული დისკურსის განვითარებას.
ამგვარად, განახლებული პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია:

- ახალი ცოდნის შექმნაზე და არა მხოლოდ არსებულის ათვისებაზე;
- სინთეზურ მიდგომაზე (სამეცნიერო კვლევა + შემოქმედებითი პრაქტიკა);
- საერთაშორისო და ინტერდისციპლინურ ჩართულობაზე;
- ეთიკურ პასუხისმგებლობაზე და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვაზე;
- კარიერული და პედაგოგიური უნარების განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს დოქტორანტის პროფესიულ და აკადემიურ თვითმყოფადობას.

2. რეკომენდებულია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სამეცნიერო და მხატვრული კვლევის შედეგები და უფრო ნათლად იქნას წარმოდგენილი მათ შორის ურთიერთკავშირი.

სამეცნიერო და მხატვრული/შემოქმედებითი კვლევის შედეგების გამიჯვნისა და მათ შორის არსებული ურთიერთკავშირის წარმოჩენის მიმართულებით, გადაიხედა პროგრამის კონცეპტუალური ჩარჩო და შინაარსი. საერთაშორისო პროგრამების გამოცდილების შესწავლის და მხატვრულ კვლევის სტრატეგიის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების ანალიზის შედეგად შემუშავდა პროგრამის ახალი, სამ კომპონენტიანი სტრუქტურა, სადაც მკაფიოდ გაიმიჯნა მათი შინაარსობრივი მდგენელი: სასწავლო კომპონენტი (სემინარები, ტრანსფერული კურსები, პედაგოგიური პრაქტიკა), სამეცნიერო კომპონენტი (თეორიული კვლევა, კოლოქვიუმი, დისერტაცია), შემოქმედებითი კომპონენტი (სპექტაკლი, პრაქტიკული კვლევა, შემოქმედებითი მეთოდები). თითოეულს გააჩნია საკუთარი ინდივიდუალური გეგმა, მეთოდოლოგია და შეფასების სტანდარტი.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მკაფიოდ ჩამოყალიბდა დისერტაციის ორსაფეხურიანი მოდელი:

დოქტორანტის ნაშრომი განიხილება როგორც ერთიანი კვლევითი ერთეული, რომელიც შედგება:

- შემოქმედებითი ნაწილისგან – წარმოდგენილი სპექტაკლის ან სხვა შემოქმედებითი პროექტის სახით,
- თეორიული ნაწილისგან – რეფლექსიური ანალიზი, კონტექსტუალური კვლევა და მეთოდოლოგიური არგუმენტაცია.

შესაბამისად, შემოქმედებითი პროდუქტი და მასზე დაფუძნებული რეფლექსიური ანალიზი და თეორიული ინტერპრეტაცია - უზრუნველყოფს გამიჯვნასაც და ურთიერთკავშირის გამოკვეთასაც. კერძოდ კი მკაფიოდ არის გაწერილი კომპონენტების როლი სწავლების პროცესში:

- სამეცნიერო კომპონენტი ემყარება კვლევის დაგეგმვას, თეორიულ წყაროებთან მუშაობას, დოკუმენტურ ანალიზს, კვლევით წერას და აკადემიურ წარდგენას.
- შემოქმედებითი კომპონენტი ემსახურება შემოქმედებით პროცესზე დაფუძნებული ცოდნის შექმნას — ე.წ. Practice-as-Research მიდგომით.

თუ სამეცნიერო კვლევა ქმნის მეთოდოლოგიურ და ანალიტიკურ ბაზას, მხატვრული კვლევა ამავე ბაზის პრაქტიკულ, შემოქმედებით განსახიერებას წარმოადგენს. შედეგად, მიღწეულია როგორც გამიჯვნა, ისე მათი ორგანული კავშირის წარმოჩენა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ინტერდისციპლინურობასა და სწავლების მაღალი ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობას.

ამრიგად, განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამის სწავლის შედეგები სრულად თანხვედრაშია დოქტორის აკადემიური ხარისხისათვის განსაზღვრულ სტანდარტებთან. ლოგიკურად და სტრუქტურულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ეფუძნება მხატვრული კვლევის პრინციპებს, მოიცავს როგორც შემოქმედებით, ასევე თეორიულ კომპონენტებს და პასუხობს სადოქტორო საფეხურის მოთხოვნებს.

განახლებულ პროგრამაში მკაფიოდ არის უკვე წარმოჩენილი როგორც სამეცნიერო, ასევე მხატვრული კომპონენტები, სადაც თითოეულს გააჩნია შეფასების ცალკე მოდელი და შინაარსობრივი ფუნქცია, ხოლო სადისერტაციო ნაშრომი თავისი ორკომპონენტიანი სტრუქტურით— პრაქტიკა + თეორია, წარმოაჩენს მხატვრული კვლევისა და სამეცნიერო კვლევის ურთიერთკავშირს და ინტეგრირებულ ხასიათს.

ზემოაღნიშნული ანალიზი ადასტურებს, რომ რეკომენდაციები შესრულებულია და პროგრამა სრულ შესაბამისობაშია კომპონენტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, თანდართული სილაბუსებით;
- ინტერვიუს შედეგები;
- „მხატვრული კვლევის სტრატეგია საშემსრულებლო ხელოვნებისთვის“;

- სადოქტორო საფეხურის ჩარჩო დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- დოქტორანტების მიერ განხორციელებული (მათ შორის საერთაშორისო) შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტები;

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის შეფასებისა და უზრუნველყოფისთვის პროგრამისთვის განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რომელზეც აღნიშნულია სწავლის შედეგებისა და პროგრამის მიზნების ურთიერთშესაბამისობა. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელ ნაწილს.

ასევე საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია სწავლის შედეგების (კურიკულუმის რუკა) რომელიც ასახავს პროგრამის სწავლის შედეგებისა და მისი შემადგენელი კომპონენტების ურთიერთკავშირს, კერძოდ, რომელი კომპონენტების მეშვეობით არის უზრუნველყოფილი სწავლის კონკრეტული შედეგების მიღწევა, განსაზღვრულია სწავლის შედეგის მიღწევის დონე (1,2,3).

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს როგორც დოკუმენტი - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასების მექანიზმები“ (დამტკიცებული 2022 წლის 25 თებერვალს აკადემიური საბჭოს მიერ), ასევე, ზემოაღნიშნული სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკასა და სწავლების საფეხურს. დადგენილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და ითვალისწინებს როგორც პრაქტიკული, ასევე კვლევითი კომპონენტის შეფასებას, მოიცავს სწავლის შედეგების შეფასების ადკვატურ ფორმებსა და მეთოდებს და იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. სამიზნე ნიშნულებთან ერთად, დადგენილია შემფასებელი. პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია დინტერესებულ პირთა გამოკითხვა, მათი უკუკავშირი.

უნივერსიტეტში დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკა, წარმოდგენილია ანგარიში, რომელიც ასახავს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე განხორციელებულ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს. გაცემული რეკომენდაციები ადასტურებს შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამების განვითარებისთვის.

პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული იყო კლასტერული რეკომენდაცია „რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა გადაამზადოს პერსონალი, განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით პროგრამის სამიზნე ნიშნულების წერაში“. განხორციელებული ვიზიტის, ინტერვიუების ფარგლებში, არ გამოკვეთილა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა თუ პროგრამის ხელმძღვანელების პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების, თუ სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მიზნით დამატებითი ტრენინგებისა. როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ასევე პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებსა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებსა და პრაქტიკას. ისინი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან იღებენ შესაბამის მხარდაჭერას.

ზემოაღნიშნული ანალიზი ადასტურებს, რომ რეკომენდაციები შესრულებულია და პროგრამა სრულ შესაბამისობაშია კომპონენტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, კურიკულუმის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასების მექანიზმები“ (დამტკიცებული 2022 წლის 25 თებერვალს აკადემიური საბჭოს მიერ);
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;

- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/ პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი

კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;

- უსდ - ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიერო-კვლევის კომპონენტის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;
- უსდ - ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ სააკრედიტაციოდ წარდგენილ პროგრამაში 60 კრედიტიანი სასწავლო კომპონენტის სასწავლო კურსები იყოფოდა რამდენიმე ჯგუფად: სემინარები სპეციალობის დისციპლინაში, რომელზეც 30 კრედიტია გამოყოფილი, რეჟისურის თეორია და პრაქტიკა და რეჟისორთან მუშაობა 10 კრედიტით, საუნივერსიტეტო კურსები 20 კრედიტით, ხოლო 5 კრედიტი ეთმობა ლიტერატურული ტექსტის ადაპტაციის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს დრამატულ თეატრში, ქართული თეატრის ეთნოგენური თავისებურებები და ჟანრული სტრუქტურა, პრაქტიკული კომპონენტი დოქტორანტის ხელმძღვანელობით და არჩევითი კურსები .

აკრედიტაციის პროცესში ექსპერტებმა გამოავლინეს რამდენიმე გასაუმჯობესებელი ინტერნაციონალიზაციის ნაკლებობა, პროგრამის მხატვრული კვლევის კომპონენტის განვითარებისთვის „ვენის დეკლარაციის 2020“ https://societyforartisticresearch.org/wp content/uploads/2020/10/Vienna-Declaration-on-Artistic-Research-Final.pdf მნიშვნელოვნება, კვლევითი მეთოდოლოგიის გაფართოება და თანამედროვე ტენდენციების მეტად გათვალისწინება, ინტერდისციპლინური კურსების ჩართვა, მეტად ფოკუსირება თანამედროვე თეატრალურ პრაქტიკებსა და ტექნოლოგიებზე, რათა პროგრამა მიყვეს ინდუსტრიის ცვალებად ტენდენციებს; ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება და სხვ. პროგრამის გასაუმჯობესებლად განისაზღვრა რეკომენდაცია: **რეკომენდებულია, რომ დოქტორანტებმა კვლევა ჩაატარონ თანამედროვე, თავიანთ დისციპლინებთან შესაბამის სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით და გამოიყენონ ის მდიდარი კვლევითი გამოცდილება, რომელიც მათ შეიძინეს პროგრამის ძლიერი კვლევითი მოდულის, განსაკუთრებით კი აკადემიური წერის კურსის მეშვეობით.**

ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაცია ეყრდნობოდა პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად სილაბუსებში აუცილებელი მასალების ნაკლებობას, შეფასების სისტემას, კვლევის მეთოდოლოგიას.

რეკომენდაციის გათვალისწინებით განახლდა პროგრამის ყველა ძირითადი კურსის სილაბუსი, კერძოდ კი „რეჟისურის თეორია და პრაქტიკა“, „სპეც. სემინარი და ასისტენტირება: მუშაობა რეჟისორთან“ , „ლიტერატურული ტექსტის ადაპტაცია დრამატულ თეატრში (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)“. შემუშავდა ახალი სასწავლო კურსი „ინტერპრეტაცია და პროფესიული განვითარება: მსახიობის ფორმირების პრინციპები“.

თანამედროვე რეჟისურისა და ანალიტიკური ცოდნის გასავითარებლად სილაბუსებში აისახა ბოლო რამდენიმე ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორების მიერ დადგმული სპექტაკლების ვიდეო მასალები. ასევე, ისეთი ავტორები როგორებიც არიან რიჩარდ შეხნერი, პატრის პავისი, ერიკა ფიშერ-ლიხტე, ჰანს-ტიეს ლემანი, ეჟი გროტოვსკი, პიტერ ბრუკი და სხვანი. განახლდა დრამატურგთა ბაზები.

განახლებული პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა გაუმჯობესებულია, ნათელი და მკაფიოა 3 ძირითადი კომპონენტის (I. სასწავლო, II. სამეცნიერო და III. შემოქმედებითი (პრაქტიკული)) ურთიერთმიმართება და ლოგიკური კავშირი. სამივე კომპონენტი ინტეგრირებულად ემსახურება დოქტორანტის დამოუკიდებელი შემოქმედებითი კვლევისა და პროფესიული კომპეტენციების გაღრმავებას.

სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის თეორიული, მეთოდოლოგიური და პედაგოგიური კომპეტენციების განვითარებას.

კურსები და სემინარები:

- სპეციალური სემინარები რეჟისურის თეორიაში, თეატრალურ ანალიზში, მხატვრულ კვლევასა და რეფლექსიურ პრაქტიკაში;
- კვლევის თანამედროვე მეთოდების შესწავლა (პერფორმატიული ანალიზი, არტისტული კვლევა, ეთნოგრაფიული მეთოდი და სხვა).

პედაგოგიური პრაქტიკა:

- პროფესორის ასისტენტირება, ლექციების/სემინარების ერთობლივი დაგეგმვა და ჩატარება, რეფლექსიური შეფასება;
- პედაგოგიური პორტფოლიოს შექმნა როგორც დამოუკიდებელი სარეჟისორო პედაგოგიკის განვითარებისთვის.

ტრანსფერული უნარების განვითარება:

- კომუნიკაცია, უმაღლესი განათლების მენეჯმენტი, კვლევის ადმინისტრირება, აკადემიური წერა და საჯარო წარდგენა.

არჩევითი ბლოკი:

- დოქტორანტს შეუძლია აირჩიოს კურსები სხვა დისციპლინებიდან (კულტურის მენეჯმენტი, პედაგოგიკა, ფილოსოფია, მედია და სხვ.), რაც მხარს უჭერს ინტერდისციპლინურ მიდგომას.

მკაფიოდაა სტურქტურირებული სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტის მუშაობა და წაყენებული მოთხოვნები, რომელიც **წარმოადგენს დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაზე დაფუძნებულ სამეცნიერო საქმიანობას.**

II. სამეცნიერო კომპონენტი

ინდივიდუალური კვლევითი გეგმა:

- შემუშავდება სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად და მოიცავს დისერტაციის თეორიულ კომპონენტს და მის ეტაპობრივ განვითარებას.

კოლოქვიუმი და წლიური ანგარიში:

- დოქტორანტი დარგობრივ სექციაზე წარადგენს კვლევის მიმდინარე გეგმას და ჩატარებული სამუშაოს ანგარიშს, განიხილავს თემასთან დაკავშირებულ უახლეს ლიტერატურას, მონაწილეობს დისკუსიაში და წარადგენს წლიურ პროგრესს.

პუბლიკაცია და საჯარო წარდგენა:

- დოქტორანტი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს კონფერენციებში ან სხვადასხვა შემოქმედებით პლატფორმებზე ვალდებულია ეტაპობრივად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები შესაბამის ჟურნალებში.

პროგრამის III - **შემოქმედებითი/პრაქტიკული კომპონენტი,** დოქტორანტის მხატვრული კვლევის მთავარი ნაწილი — შემოქმედებითი პროდუქტია, რომელიც დისერტაციის განუყოფელი ელემენტია. მის აღწერილობაში წარმოდგენილია ინდივიდუალური შემოქმედებითი გეგმა, შემოქმედებითი პროდუქტი და თეორიულ კომპონენტთან სავალდებულო კავშირი.

ინდივიდუალური შემოქმედებითი გეგმა შემუშავდება შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელთან ერთად. იგი შეიძლება მოიცავდეს სპექტაკლის დადგმას, რეპეტიციის პროცესს, ეტიუდის კვლევას, პერფორმანსის მოდელის შექმნას და სხვ.

შემოქმედებითი პროდუქტი წარმოდგენილია სპექტაკლის, ნაწყვეტის ან სხვა ფორმატის სახით და ხორციელდება პროფესიული ან სასწავლო თეატრის სცენაზე, უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით, რაც აუცილებლად ითვალისწინებს **თეორიულ კომპონენტთან კავშირი**: შემოქმედებითი ნაწილი მჭიდროდ უკავშირდება დისერტაციის ტექსტურ ნაწილს. შედეგი წარმოადგენს როგორც მხატვრული პროდუქტს, ასევე შემოქმედებით პროცესზე დაფუძნებულ ანალიზს და მის თეორიულ ინტერპრეტაციას)

ამრიგად, დოქტორანტს ყოველწლიურად მოეთხოვება საკუთარი კვლევითი პროგრესის წარდგენა კოლოქვიუმზე, სადაც სპეციალური აქცენტი კეთდება თანამედროვე წყაროების გამოყენებაზე. სწორედ ეს გარემოება შექმნის სისტემური მონიტორინგის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს, რომ დოქტორანტი მუდმივად მუშაობდეს უახლეს წყაროებთან.

ყველა განხორციელებული ცვლილება საშუალებას მისცემს დოქტორანტს კლასიკურ თეატრალურ განათლებასთან ერთად, გაეცნოს თანამედროვე თეატრალურ პრაქტიკებსა და ტექნოლოგიებს, რათა ფეხდაფეხ მიყვეს ინდუსტრიის ცვალებად ტენდენციებს.

რეკომენდაციების გათვალისწინების გზაზე, განახლდა „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდოლოგიის“ სილაბუსი, სადაც განსაკუთრებული აქცენტები მიემართა მხატვრულ

კვლევას, რომელიც სტუდენტებს დაეხმარება კვლევის პროცესში ჩართონ შემოქმედებითი პრაქტიკები და ამით შექმნან ახალი ცოდნა. ეს კი დოქტორანტებს დაეხმარება კვლევის დაგეგმვაში, ციტირების სტანდარტების დაცვაში, კვლევითი არგუმენტაციის ფორმირებაში, საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციისთვის მასალის მომზადებაში. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის განხორციელების მეთოდოლოგიური საფუძვლების განმტკიცებისთვის, პროგრამის მხატვრული კვლევის კომპონენტის განვითარებისთვის დამატებით შეიქმნა დოკუმენტი „მხატვრული კვლევის სტრატეგია“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია და ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამა შესაბამისობაშია კომპონენტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სადოქტორო პროგრამა დანართებით;
2. სადოქტორო პროგრამის სილაბუსები „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდები“; „ლიტერატურული ტექსტების ადაპტაცია თეატრში (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)“; „სპეც. სემინარი და ასისტენტირება: მუშაობა რეჟისორთან“ , „რეჟისურის თეორია და პრაქტიკა“, „ინტერპრეტაცია და პროფესიული განვითარება: მსახიობის ფორმირების პრინციპები“;
3. სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი;
4. დოქტორანტის ინდივიდუალური სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი კვლევის გეგმა;
5. კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და წარდგენის მეთოდოლოგია;
6. „მხატვრული კვლევის სტრატეგია საშემსრულებლო ხელოვნებისთვის“;
7. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები და მექანიზმები;
8. სადოქტორო პროგრამის ჩართო დოკუმენტი;
9. დოქტორანტებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი
აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები
➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დოკუმენტების შესწავლამ გვიჩვენა, რომ სადოქტორო პროგრამის თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა) სასწავლო კურსები (პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენილ ვერსიაში) მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს, კრედიტების მოცულობით:

- **სემინარები სპეციალურ დისციპლინაში (30 კრ.)**
  საუნივერსიტეტო კურსები (20 კრ.)
- **პრაქტიკული კომპონენტი (ამ კომპონენტს უძღვება დოქტორანტის ხელმძღვანელი) (5 კრ.)**
- **არჩევითი კურსები (5 კრ.).**

პროგრამის შესწავლის პროცესში ექსპერტებმა გამოვალინეს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. ჩამოყალიბდა 4 პროგრამული და 3 კლასტერული რეკომენდაცია. ძლიერი მხარეებად განისაზღვრა:

1. ჰოლისტური მიდგომა: კურიკულუმის დაყოფა სემინარებად, საუნივერსიტეტო კურსებად, პრაქტიკულ კომპონენტად და არჩევით კურსებად უზრუნველყოფს სრულყოფილ განათლებას, რომელიც აერთიანებს თეორიულ გაგებას პრაქტიკულ უნარებთან, პედაგოგიურ შეხედულებებთან და მხატვრულ კვლევასთან.
2. სპეციალიზებული სემინარები: სემინარები სპეციალურ დისციპლინაში ფოკუსირებულია თეატრის რეჟისურის გადამწყვეტ ასპექტებზე, როგორიცაა თეორია და პრაქტიკა, ლიტერატურული ტექსტების ადაპტაცია, ეთნოგენური ელემენტები და ერთობლივი მუშაობა. ეს სეგმენტები უშუალოდ ემსახურება წარმატებული რეჟისორობისთვის საჭირო ძირითადი უნარების გამომუშავებას.
3. პედაგოგიური ფოკუსი: საუნივერსიტეტო კურსების ჩართვა, რომელიც მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა საგანმანათლებლო კანონმდებლობა, კომუნიკაციის ტექნიკა და საშუალო სკოლის პედაგოგიკა, ხაზს უსვამს პროგრამის ვალდებულებას მოამზადოს კურსდამთავრებულები სწავლების როლებისთვის. ეს პედაგოგიური საფუძველი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგანაც პროგრამის აქცენტი სწორედ შემოქმედებით პედაგოგიკაზეა გაკეთებული.
4. პრაქტიკული კომპონენტი: პრაქტიკული კომპონენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს დოქტორანტის ხელმძღვანელი, აძლევს კანდიდატებს შესანიშნავ შესაძლებლობას განავითარონ სწავლების უნარი საჩვენებელი ლექციის მომზადებისა და ჩატარების გზით, რითაც ხდება თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირება.

5. არჩევითი მრავალფეროვნება: არჩევითი კურსების სპექტრი მოიცავს თეატრთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროს, როგორიცაა თანამედროვე თეატრის ფორმები, ხელოვნების ფილოსოფია და ისტორიული კონტექსტი. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს მოარგონ განათლება თავიანთ ინტერესებსა და მიზნებს.

პირველი რეკომენდაციის მიხედვით, **პროგრამას აკლია ანალოგი სადოქტორო პროგრამების სიღრმისეული ანალიზი, კომპონენტი, რომელიც, ექსპერტების აზრით, გადამწყვეტია პროგრამის ეფექტურობისა და გაუმჯობესებისთვის. კატეგორიულად რეკომენდებულია ასეთი ანალიზის მიწოდება პროგრამის გასაუმჯობესებლად.**

დაწესებულებამ შეისწავლა საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა თეატრის რეჟისურისა და პერფორმანსის მიმართულებით მოქმედი ანალოგიური სადოქტორო პროგრამები ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში. ანალიზისას ყურადღება გამახვილდა პროგრამის სტრუქტურაზე, სწავლის შედეგების ფორმულირებაზე, კვლევისა და შემოქმედებითი პრაქტიკის ინტეგრაციაზე, სასწავლო კურსების შინაარსსა და შეფასების სისტემებზე. აღნიშნულმა ანალიზმა უზრუნველყო პროგრამის ეფექტურობის გაზრდა, შესაძლებლობების განსაზღვრა მისი გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მჭიდრო დაახლოებისათვის. ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდა დოკუმენტი „თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამის საერთაშორისო ანალოგები“, რაც საფუძვლად დაედო პროგრამაში ასახულიყო სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციები. კერძოდ კი მხატვრული კვლევის (artistic research) მეთოდები, რეჟისურის ახალ ფორმატები და პედაგოგიური პრაქტიკის განვითარება შემოქმედებით სფეროში. პროგრამის სტრუქტურა და მიდგომები ადაპტირებულია რამდენიმე აღიარებული მოდელის საფუძველზე. აღნიშნული საერთაშორისო პროგრამების შერწყმით და ადაპტაციით, ქართული პროგრამა ქმნის მულტიდისციპლინურ და კვლევაზე ორიენტირებულ ჩარჩოს, რომელიც ითვალისწინებს:

- ეროვნული თეატრალური გამოცდილების კრიტიკულ შესწავლას;
- რეგიონული თავისებურებების გააზრებას (ეთნოგენური და ჟანრული სტრუქტურები);
- რეჟისორის პედაგოგიურ და პროფესიულ განვითარებას;
- კვლევისა და პრაქტიკის ინტეგრირებას ერთიან შემოქმედებით პროცესში.

სასწავლო კურსებთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. **რეკომენდებულია „თეატრის რეჟისურის“ სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები შესაბამისობაში მოვიდეს „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ სილაბუსში შემუშავებულ სტანდარტებთან.**

2. რეკომენდებულია განახლდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა საშემსრულებლო თეორიისა და თანამედროვე დრამატურგიის სფეროში არსებული შესაბამისი რესურსებით.

ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით, გადახედილი იქნა პროგრამის სასწავლო კურსები, რათა ისინი თანხვედრაში მოსულიყო „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ სილაბუსში განსაზღვრულ სტანდარტებთან. ყველა კურსის მიზნები, შედეგები და სასწავლო აქტივობები განახლდა ისე, რომ მკაფიოდ ასახავდეს კვლევითი უნარების

განვითარებას, აკადემიური სტილის დაცვის პრაქტიკას, თანამედროვე ციტირების სისტემების გამოყენებას და კრიტიკული ანალიზის კომპეტენციებს. შედეგად, პროგრამის სასწავლო კურსები ინტეგრირებულია საერთო კვლევით და აკადემიურ სტანდარტებთან.
მასალის გაცნობამ, ბიბლიოთეკის დათვალიერებამ და ინტერვიუებზე გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ სილაბუსებში განხორციელდა ლიტერატურული ბაზის რევიზია. სავალდებულო და დამატებითი რესურსები განახლდა თანამედროვე საშემსრულებლო თეორიის, თეატრალური კვლევების და თანამედროვე დრამატურგიის უახლესი გამოცემებით. სიაში ჩართულია როგორც დასავლურ, ასევე რეგიონულ აკადემიურ სივრცეში გამოცემული ნაშრომები, რაც დოქტორანტებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ მრავალფეროვანი და აქტუალური კვლევითი ბაზით. ამასთან, ინტეგრირებული იქნა ციფრული ბიბლიოთეკების რესურსებიც, რაც მათ ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად ზრდის.
მომდევნო რეკომენდაცია ითვალისწინებს სასწავლო კურსის „ლიტერატურული ტექსტის ადაპტაცია დრამატულ თეატრში“ გადამუშავებას. **რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო კურსის „ლიტერატურული ტექსტის ადაპტაცია დრამატულ თეატრში“ მიზნები, სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმები.**
სრულად განახლდა „ლიტერატურული ტექსტის ადაპტაცია დრამატულ თეატრში“ - სასწავლო კურსი. გადამუშავდა კურსის მიზნები ისე, რომ უფრო მკაფიოდ ასახავდეს დოქტორანტების მიერ ლიტერატურული ტექსტის კრიტიკული ანალიზისა და თანამედროვე დრამატურგიულ-რეჟისორული მიდგომების გამოყენების უნარს. სწავლების მეთოდოლოგია გამდიდრდა პრაქტიკული სემინარებით, ინტერაქტიური ვორქშოფებითა და საერთაშორისო თეატრალური პრაქტიკის განხილვით. შეფასების მექანიზმები შეიცვალა მრავალსაფეხურიანი მიდგომით: შუალედური შეფასებით, ინდივიდუალური დავალებები, შემოქმედებითი პროექტები და საბოლოო პრაქტიკული ნამუშევრით, რომელიც აკადემიურ რეფლექსიასაც მოიცავს. ამ ცვლილებებით კურსი გახდა უფრო თანამედროვე და ეფექტური.
კლასტერულ რეკომენდაციები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად (აქ 1 და 2 რეკომენდაციები ტექნიკური ხარვეზის გამო დუბლირებულია): 1-2. **რეკომენდებულია, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების თეორიული მიმართულების სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურას დაემატოს ქართულ და ინგლისურენოვანი უახლესი სამეცნიერო სტატიები და პუბლიკაციები.**
3.რეკომენდებულია, რამდენიმე სემესტრიან სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსთან.
4.რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში დაზუსტდეს წინაპირობები, სწავლების ფორმები და შეფასების სისტემა.

დოკუმენტების გაცნობამ ცხადყო, რომ კლასტერული რეკომენაციებიც შესრულებულია. 1.5.1-1.5.2 დუბლირებულია. რეკომენდაციის შესაბამისად განახლდა თეორიული მიმართულების 17 სამაგისტრო სილაბუსი და სადოქტორო პროგრამის 5 სილაბუსი, რაც დასტურდება თანდართული მასალით. სილაბუსებში განახლდა სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, უახლესი 2000 წლის შემდეგ გამოქვეყნებული მასალებით, მათ შორის, უცხოენოვანი.
1.5.3. სილაბუსების იმ ნაწილში, სადაც მეთოდებთან დაკავშირებით არ იყო კონკრეტიკა, შესაბამისობაში მოვიდა კურსის შინაარსთან და აღიწერა თითოეული მეთოდის გამოყენების

სტრატეგია. რეკომენდაცია ძირითადად მიემართებოდა კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ძირითადი მოდულის სპეციალობის/ოსტატობის რამდენიმე სემესტრიან სასწავლო კურსებს, სადაც გამოყენებული სწავლების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდა სასწავლო კურსის შინაარსთან.
1.5.4. დაზუსტდა აგრეთვე, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები. სწავლების ფორმები და შეფასების სისტემა: შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, რამაც უზრუნველყო პროგრამის შესაბამისობა კომპონენტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამის საერთაშორისო ანალოგები“;
2. დრამის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო ანალოგები - დადარების დოკუმენტი“;
3. „მხატვრული კვლევის სტრატეგია საშემსრულებლო ხელოვნებისთვის“;
4. სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის

შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დოქტორანტთა მიღება კომისიური წესით;
- უსდ-ში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას-ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დგინდება უცხო ენის ფლობის დონე, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე, უსდ-ს მიერ მხედველობაში მიიღება პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თეატრის რეჟისურის(შემოქმედებითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამაზე მიღება ხორციელდება განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, რომელიც სრულიად შესაბამისია კანონმდებლობასთან. აღნიშნულ ქვესტანდარტში, აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გაცემულ იქნა რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტების მიღების პროცედურების გამჭვირვალობას: „სავალდებულოა, რომ პროგრამამ სრულყოფილად და დეტალურად გამოაქვეყნოს პროგრამაზე მიღების წინაპირობები.“

დაწესებულებამ აღნიშნული მიმართულებით განახორციელა ქმედითი ნაბიჯები, უნივერისტეტის ვებ-გვერდზე დეტალურადაა წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები.

კანონმდებლობის შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მაგისტრის აკადემიური ხარისხი, შესაძლოა მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი;
- ინგლისური ენის ცოდნა - B 2 დონეზე;
- ქართული ენის ცოდნა (უცხოელი კანდიდატებისთვის - B 2 დონეზე) პროგრამაზე;
- სპეციალობის გამოცდის წარმატებული ჩაბარება;

იმისათვის, რომ დაინტერესებულ პირთა კანდიდატურა განიხილოს კომისიამ, საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

- განცხადება (ივსება ელექტრონულად);
- განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV).
- ორი ფოტოსურათი /3X4/ (დისკით).
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის/ მოდულის ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით.
- ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის დამოწმებული ასლი /B2 დონე/ (არსებობის შემთხვევაში /TOEFL PBT, TOEFL IBT, IELTS ან Cambridge Exam/)
- ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული ენის სერთიფიკატის დამოწმებული ასლი /B2 დონე/
- ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოენოვანი დოქტორანტობის კანდიდატებისთვის.
- B2 დონის გამოცდას ინგლისურ ენაში ჩააბარებს ის ვინც ვერ წარმოადგენს B2 დონის საერთაშორისო სერთიფიკატს ინგლისურ ან ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ ენაში.
- B1 დონის გამოცდას ინგლისურ ენაში ჩააბარებს ის, ვინც წარმოადგენს B2 დონის სერთიფიკატს ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ ენაში

კანდიდატს მოეთხოვება სადოქტორო პროგრამის შესაბამის სფეროში შესრულებული ნაშრომი/პუბლიკაცია (სტატია); ასეთის არასებობის შემთხვევაში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს შესაბამის სფეროში სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის კვლევით უნარებს;

შემოქმედებითი ნაწილის დადასტურება პორტფოლიოს სახით, უნდა მოიცავდეს დრამის ფაკულტეტის პროგრამებისთვის: სპექტაკლის ჩანაწერი, ფილმი, კლიპი, ექსპლიკაცია, პროექტი, აფიშის/ პროგრამის ელექტრონული ასლი, რეცენზია/გამოხმაურებები სპექტაკლის/ფილმის შესახებ და სხვა ინფორმაცია შემოქმედებითი გამოცდილების შესახებ DVD დისკით).

უნივერისტეტის ვებ-გვერდზე ასევე დეტალურადაა წარმოდგენილი, კვლევითი პროექტის შესრულების კრიტერიუმები. ასევე ინგლისური ენის გამოცდის საგამოცდო ტექსტის ნიმუში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წესის მიხედვით განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას- ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით; დოქტორანტთა შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით კომისიის მიერ. კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროგრამის ხელმძღვანელი, შერჩეული სამეცნიერო ხელმძღვანელები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკ. პერსონალი და სფეროს პრაქტიკოსები.

კონკურსში მონაწილე აპლიკანტის შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- კვლევითი/შემოქმედებითი თეზისი - 40 ქულა;
- პროფესიული პორტფოლიო და გამოცდილება - 20 ქულა;
- მოტივაციის წერილი და გასაუბრება კომისიასთან - ქულა;

აღნიშნული კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამებზე მიღების წესში, რომელიც განთავსებულია უნივერისტეტის ვებ-გვერდზე.

2024 წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხულ სტუდენტებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ისინი დეტალურად იცნობენ ჩარიცხვის წინაპირობებს და გავლილი ჰქონდათ ყველა საჭირო პროცედურა.

უნივერისტეტს ასევე, შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელთა და სტუდენტთა განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც, ერთ სამეცნიერო ხელმღვანელს უფლება აქვს ხელმძღვანელობა გაუწიოს აქტიური სტატუსის მქონე 3 სტუდენტს,1:5 დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით.

ზემოთ წარმოდგენილი ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, წარმოდგენილია უნივერისტეტის ვებ-გვერდზე, რაც ნამდვილად ადასტურებს უნივერისტეტის მიერ რეკომენდაციის შესრულებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვებ-გვერდზე ვერ ვხვდებით ინფორმაციას სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელების და მათი კვლევითი ინტერესების შესახებ, სასურველია რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის გამჭვირვალობაც, რათა აპლიკანტებს უფრო დეტალური ინფორმაცია ჰქონდეთ ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა და მიღების წესი
- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- წერითი ნაშრომის შეფასების სტანდარტები
- უნივერისტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

სასურველია, დაწესებულებამ უნივერისტეტის ვებ-გვერდზე მიღების წინაპირობებთან ერთად წარმოადგინოს სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელების და მათი კვლევითი ინტერესების შესახებ ინფორმაცია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა სადადგმო და საშემსრულებლო კულტურის კვლევას ახალი მხატვრულ - ესთეტიკური ღირებულებების, ახალი ფორმებისა და მეთოდების პრაქტიკულ საქმიანობაში განხორციელებასა და დანერგვას ისახავს მიზნად. მომავალი რეჟისორები და სათეატრო პედაგოგები, თეორიული კურსის პარალელურად, შემოქმედებით პრაქტიკას 3 წლის განმავლობაში, უნივერსიტეტის სასწავლო თეატრების ბაზაზე გადიან, სადაც ტარდება მასტერკლასები, ვორქშოფები.

სასწავლო კომპონენტთან ერთად დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ იმუშაონ სარეჟისორო მიმართულებით - დადგან სპექტაკლი, ან მოამზადონ საჩვენებელი მეცადინეობა ახალი მეთოდოლოგიის წარმოჩენით, ამასთანავე მნიშვნელოვან სამუშაოს მიუძღვნან ანალიზსა და კვლევას.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს პედაგოგიურ პრაქტიკას, რაც გამოიხატება პროფესორის ასისტენტირებაში, მსგავს საქმიანობაში (ლექციის მომზადება) და გამიზნულია სასწავლო-პედაგოგიური უნარ-ჩვევების განსავითარებლად; კურსებს, რომლებიც ემსახურება დოქტორანტის ტრანსფერული უნარების განვითარებას, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში და განათლების მართვაში კომუნიკაციასა და მენეჯმენტში გარკვევას; დოქტორანტს შეუძლია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; შემოქმედებითი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ახალი კვლევითი მეთოდების და მიდგომების შემუშავება, რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული (საერთშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);

როგორც დამდგმელი რეჟისორს, დოქტორანტს ექნება შემოქმედებითი პროდუქტის - სპექტაკლის განხორციელების ცოდნა აკადემიური თეატრის სცენაზე ან უნივერსიტეტის სამსახიობო ჯგუფთან - წინასადიპლომო ან სადიპლომო სპექტაკლის სახით. ასევე, სამეცნიერო ხელმძღვანელთან შემუშავებული ინდივიდუალურ გეგმის შესაბამისად, შეიძენს კვლევის წარმართვის უნარს. არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის უნარს, როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოებისათვის; ასევე, კოლოქვიუმზე მუშაობის და მისი პრეზენტირების, დისკუსიის წარმართვის, თემაზე არსებული ახალი სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის უნარს.

სასწავლო, სამეცნიერო და პრაქტიკული/შემოქმედებითი კომპონენტის განსახორციელებლად უსდ-ს ბაზაზე შექმნილია სათანადო პირობები უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ვიდეოთეკა, ბიბლიოთეკა, Elsevier სამეცნიერო ბაზები. ტარდება სამეცნიერო კონფერენციები; უნივერსიტეტს აქვს საკუთარი გამომცემლობა ,,კენტავრი", გამოსცემს რეცენზირებად სამეცნიერო შრომების კრებულს „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი", სადაც დოქტორანტს შეუძლია წარადგინოს და გამოსცეს სტატიების სახით კვლევის შედეგები, დაიცვას პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები.

კომპონენტის შეფასებისას გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეები და გაიცა რეკომენდაცია: **რეკომენდებულია, თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას აკადემიური განათლების მესამე საფეხურის შესაბამისი კვლევითი პროექტების მომზადება.**

აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დოქტორანტების კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისკენ მიმართული ცვლილებები. კერძოდ, სადოქტორო პროგრამაში ინტეგრირდა მესამე საფეხურის შესაბამისი კვლევითი პროექტების მომზადების კომპონენტი, რომელიც მოიცავს როგორც სამეცნიერო-თეორიულ, ასევე შემოქმედებით-კვლევით ასპექტებს. დოქტორანტებს ეძლევათ შესაძლებლობა შეიმუშაონ ინდივიდუალური კვლევითი პროექტები, რომლებიც ეფუძნება საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკებს, თეატრისა და პერფორმანსის თანამედროვე მიდგომებსა და ინოვაციურ მეთოდოლოგიებს. აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს როგორც თეორიულ ანალიზს, ასევე მისი პრაქტიკულად გამოცდის შესაძლებლობას დამოუკიდებელ შემოქმედებით ნამუშევრებში.

დოკუმენტების გაცნობამ და ინტერვიუირებამ დაადასტურა, რომ პროექტების განხორციელების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერდისციპლინარულ მიდგომებს, ტრანსფერული უნარების განვითარებასა და კვლევის ეთიკური სტანდარტების დაცვას. შედეგად, დოქტორანტები იძენენ უნარებს, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს მათ კვლევით და პროფესიულ განვითარებას საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში. ეს მკაფიოდ იკვეთება პროგრამის შინაარსში. მაგ. იგი ითვალისწინებს კვლევითი პროექტების ინტეგრაციას სასწავლო კომპონენტში:

- სპეციალური სემინარები უკვე მოიცავს კვლევითი მეთოდების გამოყენებას;
- დოქტორანტები ავითარებენ მცირე ზომის კვლევით პროექტებს სემინარებში, რაც ეტაპობრივად ამზადებს მათ დისერტაციისთვის.

კვლევითი პროექტების ეტაპებში:

I ეტაპი – კვლევითი თეზისის წარდგენა, პირველადი ლიტერატურის მიმოხილვა, მცირე ანალიზი.
II ეტაპი– შუალედური კვლევითი პროექტი (სცენური ეტიუდი + თეორიული ანალიზი), მისი კოლოქვიუმზე დაცვა.
III ეტაპი – პრაქტიკულ კომპონენტთან ინტეგრირებული ფართომასშტაბიანი კვლევა (რეჟისორული ნამუშევარი + ანალიზი).
IV ეტაპი – დისერტაციის სრული ვერსიის მომზადება, საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში ჩართვა.
შიდა შეფასებასა და უკუკავშირში - ყოველ წელს დოქტორანტი მონაწილეობს კოლოქვიუმში, სადაც წარადგენს: კვლევის მიმდინარეობას, არჩეულ წყაროებს, მიღებულ შუალედურ შედეგებს. რაც უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის უწყვეტ მონიტორინგს.
გათვალისწინებულია დოქტორანტის ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში / შემოქმედებით კვლევით პროექტებში, რაც აკრედიტაციის რეკომენდაციის თანახმად ხაზს უსვამს პროგრამის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობას.
ამრიგად, რეკომენდაცია შესრულებულად ითვლება და პროგრამა შესაბამობაშია მოყვანილი სტანდარტის მოთხოვნებთან.
ამ კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული იყო კლასტერში გაერთიანებული პროგრამებისთვის საერთო რეკომენდაციებიც, რაც განსაკუთრებით მიემართებოდა შესაფასებელ სადოქტორო პროგრამას. ქვემოთ მოცემულ რეკომენდაციებში ჩანს ტექნიკური ხარვეზი: მე-2 და მე-4 რეკომენდაციები დუბლირებულია.

1. რეკომენდებულია კვლევებთან დაკავშირებული ყველა სილაბუსში დაინერგოს ის მკაცრი სტანდარტები, რომლებიც მოცემულია სილაბუსში „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“.

2. რეკომენდებულია ვენის 2020 წლის დეკლარაციის პრინციპების გამოყენება. (https://societyforartisticresearch.org) ყველა მხატვრულ კვლევაზე.

3. რეკომენდებულია, თეორიული მიმართულების სასწავლო კურსებში გათვალისწინებულ იქნას სწავლებისა და კვლევის უახლესი მეთოდები.

4. რეკომენდებულია ვენის 2020 წლის დეკლარაციის პრინციპების გამოყენება. (https://societyforartisticresearch.org) ყველა მხატვრულ კვლევაზე.

რეკომენდაციის გაცნობის შემდეგ, სამუშაო პროცესში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებმა იმსჯელეს პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, საკითხი განიხილულ იქნა თეატრალური ხელოვნების სამუშაო ჯგუფის სხდომაზე. 2.2. კომპონენტში გაცემულ კლასტერულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით ცვლილებები განხორციელდა კლასტერის სამივე სამაგისტრო პროგრამაში. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით ძირითადი ცვლილებები შეეხო პროგრამებში სწავლებისა და კვლევის მეთოდებს. მკაფიოდ ჩამოყალიბდა მხატვრულ პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევის მეთოდოლოგია. რაც განსაკუთღებით მნიშვნელოვანია, შემუშავდა „მხატვრული კვლევის სტრატეგია საშემსრულებლო ხელოვნებისთვის“, სადაც განსაზღვრულია მხატვრული კვლევის სტანდარტი როგორც სადოქტორო სწავლების საფეხურზე, ასევე მის წინა ეტაპზე, სამაგისტრო დონეზე. დოკუმენტში ასახულია ვენის დეკლარაციის ძირითადი პრინციპების (The Vienna Declaration on Artistic Research), ევროპული მხატვრული კვლევის ქსელის (European Artistic Research Network (EARN) და მხატვრული კვლევის საზოგადოების (The Society for Artistic Research (SAR)) ძირითადი პრინციპები (26.11.2024 საბჭოს ოქმი N18,

აკადემიური საბჭოს დადგ. N 21 29.22.2024). აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკის, უახლესი კვლევების მეთოდების გამოყენებას და დანერგვას სასწავლო პროცესში.
ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროგრამა სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა შემოქმედებითი / საშემსრულებლო და სამეცნიერო-კვლევითი, ტრანსფერული უნარების განვითარებას. ამდენად, დგინდება სტანდარტის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სადოქტორო პროგრამა, დანართებით და სილაბუსებით;
2. დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენციებში და შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობის ამსახველი მასალა;
3. განხორციელებული შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტების/სადიპლომო სპექტაკლების ჩამონათვალი;
4. პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
5. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
6. კლასტერში შემავალ (MA და PhD) პროგრამებთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტები: ა) აკადემიური საბჭოს დადგ. N 21 29.22.2024; სამაგისტრო პროგრამებში - MA-სადადგმო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი); MA-მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი); MA-თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) და სადოქტორო პროგრამის „თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა)“ განხორციელებული ცვლილებების შესახებ; ბ) პროგრამის შესაბამისი სილაბუსები;
7. „მხატვრული კვლევის სტრატეგია საშემსრულებლო ხელოვნებისთვის“;
8. დრამის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N18, 26.11.2024.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდებით, რომელიც შეესაბამება სადოქტორო სწავლების სპეციფიკას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის და თითოეული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დოქტორანტთა აქტიურ ჩართულობას და ინტერაქციას დოქტორანტებსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს შორის, დოქტორანტთა შესაბამისი ავტონომიურობითა და პასუხისმგებლობით მონაწილეობას და საფეხურის შესაბამისი უნარების განვითარებას. სადოქტორო სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კომპონენტი ხორციელდება სწავლების პირველ წელს, დოქტორანტებმა, ინტერვიუების ფარგლებში დადებითად შეაფასეს როგორც სწავლების პროცესი და მისი მოქნილობა, ასევე დაწესებულებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მზაობა, გაითვალისწინონ დოქტორანტების ინდივიდუალური საჭიროებები. რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, დოქტორანტები მასზე მუშაობენ ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამა ქართულენოვანია და მას არ ჰყავს საერთაშორისო სტუდენტები, ასევე, პროგრამა არ ხორციელდება ელექტრონულად/დისტანციურად.

პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული იქნა რეკომენდაცია „რეკომენდებულია, თეატრის რეჟისურის (შემოქმდებეითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამაში გათვალისინებულ იქნას საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული შემოქმედებითი კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიები“.

ექსპერტთა შეფასებით, რეკომენდაცია შესრულებულია. რეკომენდაციის შესრულების მიზნით განახლდა სასწავლო კურსის „ლიტერატურული ტექსტების ადაპტაცია თეატრში (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)“ სილაბუსი. განახლებული სილაბუსის სწავლების მეთოდებში ინტეგრირებულია შემდეგი მეთოდები: ლექცია, ტექსტის კითხვის და დრამის რეჟისურის აღქმის ანალიზური მეთოდი, ასევე დედუქციურ-ინდუქციური მეთოდი; კომპონენტური ანალიზის მეთოდი; სემიოტიკური მეთოდი, ჯგუფში მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა. ასევე, სწავლების პროცესში ჩართულია ვორქშოფები და მასტერკლასები უცხოელი პრაქტიკოსი-მკვლევრების მონაწილეობით, თანამედროვე რეჟისორების ნამუშევრების ვიდეო-ანალიზი და თანამედროვე დრამატურგიის ანალიზი.

გარდა ამისა, როგორც აღინიშნა სტანდარტის კომპონენტ 2.2-ის აღწერისა და ანალიზის ნაწილში, დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „მხატვრული კვლევის სტრატეგია საშემსრულებლო ხელოვნებისთვის“ განსაზღვრულია მხატვრული კვლევის

სტანდარტი სადოქტორო სწავლების საფეხურზე და ასახულია ვენის დეკლარაციის ძირითადი პრინციპების (The Vienna Declaration on Artistic Research), ევროპული მხატვრული კვლევის ქსელის (European Artistic Research Network (EARN) და მხატვრული კვლევის საზოგადოების (The Society for Artistic Research (SAR)) ძირითადი პრინციპები (26.11.2024 საბჭოს ოქმი N18, აკადემიური საბჭოს დადგ. N21 29.11.2024), რაც ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკის, უახლესი კვლევების მეთოდების გამოყენებას და დანერგვას სასწავლო პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „მხატვრული კვლევის სტრატეგია საშემსრულებლო ხელოვნებისთვის";
2. ინტერვიუს შედეგები;
3. სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები.

[რეკომენდაციები]

- -

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

i. დოქტორანტების შეფასება ხდება უსდ - ში დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;
ii. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას;
iii. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დისერტაციის/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის

პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს;

iv. დოქტორანტის მიერ დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;

v. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა;

vi. სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, წინასწარ ცნობილია დოქტორანტებისათვის და გათვალისწინებულია დოქტორანტთა ნაშრომების შეფასებისას;

vii. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს;

viii. სადოქტორო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;

ix. სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - კომისიის/კომისიების მიერ;

x. სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის;

xi. ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

xii. საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

xiii. უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;

xiv. დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის/საშემსრულებლო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას;

xv. დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. დაცვის კომისიის/კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;

xvi. სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი;

- სადოქტორო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია; სადოქტორო ნაშრომის აბსტრაქტი/რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია კანდიდატთა პროგრამაზე ჩარიცხვისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება. გასაჩივრების პროცედურები საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;
- უსდ - ს მიერ შემუშავებულია რეცენზენტის მოძიების, დანიშვნისა და მისი საქმიანობის მექანიზმები;
- მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის შესახებ და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაცია უსდ - ს მიერ განთავსებულია ერთიან ელექტრონულ პორტალზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თეატრის რეჟისურის სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტების შეფასება ხორციელდება სტუდენტების შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად, უზრუნველყოფილია ინფორმაციის გამჭვირვალობა, სანდოობა და ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და ინტერვიუების საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული სასწავლო კურსის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, შეესაბამება სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტურ შეფასებას.

სტუდენტების შეფასება მოიცავს შემდეგი სახის დადებით და უარყოფით შეფასებებს:

A- 91-100 ფრიადი

B -81-90 ძალიან კარგი

C- 71-80 კარგი

D- 61-70 დამაკმაყოფილებელი

E -51-60 საკმარისი

FX- 41-50 ,,ვერ ჩააბარა”, სტუდენტს ეძლევა მოცემულ დისციპლინაში საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება

F- 0-40 ,,ჩაიჭრა”, სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს მოცემული დისციპლინის კურსი

რაც შეეხება სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას, იგი ხდება შემდეგი სისტემის მიხედვით:

91-100 - ფრიადი – summa cum laude;

81-90 - ძალიან კარგი – magna cum laude;

71-80 -კარგი – cum laude;
61-70 -საშუალო – bene;
51- 60 - დამაკმაყოფილებელი – rite;
41- 50 - არადამაკმაყოფილებელი–insufficienter;
0-40 - სრულიად არადამაკმაყოფილებელი– sum omni canon

სადისერტაციო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს, ექპერტების მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „სადოქტორო პროგრამის კურსების შეფასების სისტემა გახდეს უფრო კომპლექსური და რაფინირებული. დავალებები მოიცავდეს ფართო სპექტრს და მეტ აქცენტს აკეთებდეს კვლევაზე ორიენტირებულ ამოცანებზე. ზოგადად, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში გამოყენებული შეფასების სისტემების პირდაპირი გამოყენება შესაძლოა არ იყოს ყველაზე ოპტიმალური მიდგომა. დავალებები უნდა მოითხოვდეს უფრო ღრმა კვლევასა და კრიტიკულ ანალიზს, რომელიც შეესაბამება დოქტორანტურის ზედა დონის აკადემიურ მოთხოვნებს“. ინტერვიუს შედეგებმა და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ ცხადყო, რომ დაწესებულებამ განაახლა პროგრამის სილაბუსები, შეფასების სისტემა გახდა უფრო კომპლექსური. დავალებები მოიცავს მარრავლფეროვან, კვლევაზე დაფუძნებულ ამოცანებს, რომელებიც სრულიად შეესაბამება სადოქტორო პროგრამის სწავლის დონეს მალაითად: შესრულებული ფრაგმენტის ჩვენება (ეტიუდი, სპექტაკლის/პერფორმანსის ფრაგმენტი), დოკუმენტური ჩანაწერი (სცენარი, კონცეფციის ესე),კვლევითი ნაშრომი, პრეზენტაცია და სხვ. ასევე, კურსის სილაბუსებში დაზუსტდა საგამოცდო თემატიკა და შეფასების კრიტერიუმები, რაც ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტმა ქმედითი ნაბიჯები განახორციელა აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ შეფასების მეთოდები არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი, ისინი რეგულარულად იღებნენ ინფორმაციას შეფასების მეთოდების შესახებ და ჰქონდათ წვდომა საგნის სილაბუსებზე ელექტრონული პორტალის მეშვეობით. ინტერვიუებისას ასევე, აღნიშნეს, რომ მუდმივად იღებენ უკუკავშირს საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოქტორანტის პროგრესის შეფასების ფორმა, რომლის მიხედვითაც სამეცნიერო ხელმძღვანელი მუდმივ რეჟიმში აფასებს დოქტორანტს.

სადისერტაციო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით კომისიური წესით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების და წარდგენის პროცედურების შესახებ დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს ყველა პროცედურას. სადისერტაციო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით კომისიური წესით; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის გარდა, სავალდებულო წესით ითვალისწინებს: მინიმუმ 3 სამეცნიერო სტატიის, ხოლო საშემსრულებლო მიმართულებისთვის მინიმუმ 2 სამეცნიერო სტატიის პუბლიკაციას რეფერირებად/რეცენზირებად (ე.წ. peer-reviewed) ბეჭდურ ან ელექტრონულ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში,

ადგილობრივ ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე.წ. Proceedings). სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული დისერტაციის რეცენზირებას ახორციელებს მინიმუმ 1 ექსპერტი, რომელსაც ნიშნავს დარგობრივი სექცია. ექსპერტს/ექსპერტებს დისერტაციის გასაცნობად და დასკვნის დასაწერად ეძლევათ 2 თვე.
სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა და აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება უნივერისტეტის ვებ-გვერდზე. ასევე, დისერტაციის შესრულების კრიტერიუმები და მოთხოვნები წინასწარაა ცნობილი სტუდენტებისთვის, რაც დადასტურდება ინტერვიუების მსვლელობის დროსაც.
სტუდენტებს უფლება აქვთ, გაასაჩივრონ მიღებული შეფასება. ინტერვიუებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება
- დისერტაციის შეფასების წესი
- პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სადისერტაციო ნაშრომის სტანდარტები
- სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის წესი
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა
- შედეგების გასაჩივრების ინტრუქცია
- პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესი

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

xvii. უსდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან/ცენტრებთან /უსდ - ებთან, სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან/ინდუსტრიასთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისა და კარიერული წინსვლის მიზნით;

xviii. უსდ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქმნის სათანადო პირობებს და გარემოს საერთაშორისო მობილობის წახალისებისათვის და/ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო/შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობისათვის, რაც მიზნად ისახავს ძლიერი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს განვითარებას და ხელს უწყობს კვლევის საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას.

xix. უსდ დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მხარდაჭერის დამატებით მექანიზმებს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებებისა და აქტივობის სახით, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ;

xx. უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს დოქტორანტების მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას აძლევს დოქტორანტს დაასრულოს სადოქტორო ნაშრომი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;

xxi. უსდ დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ. სახელოვნებო სფეროში ასევე, სახელოვნებო-შემოქმედებით ღონისძიებების (კონცერტი, ფესტივალი, კონკურსი, მასტერ- კლასი, გამოფენა, ბიენალე და სხვა) თაობაზე;

xxii. უსდ პერიოდულობით ახდენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მაჩვენებლების ანალიზს, რომლის შედეგებიც მიმართულია პროგრამის, რესურსებისა და დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებისაკენ;

xxiii. უსდ უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თეატრის რეჟისურის პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ კონსულტაციები სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური შედეგების გაუმჯობესების, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით.

თეატრის რეჟისურის პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, მონაწილეობა მიიღონ ღონისძიებებსა და კონფერენციებში, აგრეთვე მიიღონ დაფინანსება კვლევითი პროექტებისთვის, რომლებიც შეესაბამება განათლების შესაბამის საფეხურს. სტუდენტებს გააჩნიათ გამოცდილება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ფესტივალებში, სპექტაკლებში, ტურებში, ვორქშოფებსა და სხვა პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ინტერვიუებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ სხვადსხვა საერთაშორისო პროექტებში, 2024 წელს ერთ-ერთი სტუდენტმა გაიმარჯვა განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და იმყოფებოდა HB STUDIO-ში. ასევე, ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა რომ უნივერისტეტის მხარდაჭერით კვლევითი ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდა ჩეხეთში, მასარიკის უნივერისტეტში. ასევე, აღნიშნული პროგრამის სტუდენტმა იტალიაში ჩაატარა ვორქ-შოპები, რომელიც შეეხებოდა მის საკვლევ საკითხს. მადიჩის თეატრალურ ფესტივალზე წარმოდგენილ იქნა აღნიშნული პროგრამის სტუდენტების სპეკტაკლები „აია“ და „ადამიანის ტრაგედია“. ასევე, კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერისტეტის დამხარებით გამოსცეს წიგნები, აღნიშნული მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ დაწესებულება მხარს უჭერს საკუთარ სტუდენტებს კვლევის შედეგების გავრცელებაში. 2025 წლის განმავლობაში უნივერისტეტის დაფინანსებით სასწავლო და პროფესიული თეატრების სცენებზე დაფინანსდა 25 საკურსო და საკვალიფიკაციო სპექტაკლი.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო პროგრამების დეპარტამენტი, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას საუნივერსიტეტო ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული სამსახური რეგულარულად აახლებს ინფორმაციას უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. ამავე დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობასა და კონსულტაციას კარიერული განვითარების საკითხებში. ასევე, სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმები. პროგრამის ბიუჯეტში სტუდენტური სამეცნიერო აქტივობებისთვის გამოყოფილია კონკრეტული თანხა. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაწესებულების გადაწყვეტილებით სწავლის გადასახადი საკმაოდ დაბალია. უნივერისტეტი მხარს უჭერს საკუთარი სტუდენტების დასაქმებასაც, კურსდამთავრებულების და სტუდენტების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ისინი თეატრალურ უნივერისტეტში კითხულობენ სხვადასხვა სასწავლო კურსებს და მუშაობენ აკადემიური მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სამეცნიერო და შემოქმედებითი აქტივობების დაფინანსება;
- სტუდენტთა კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაცია;
- უნივერისტეტის მიერ დაფინანსებული საკურსო და საკვალიფიკაციო სპექტაკლები;
- უნივერისიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1_სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3.2 დოქტრანტთა ხელმძღვანელობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს დოქტორანტებს.
- სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

xxiv. ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას;

xxv. უსდ-ს შემუშავებული აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტები;

xxvi. უსდ - ს შემუშავებული აქვს დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს და უსდ-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები; დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში;

xxvii. ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უწყობს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას;

xxviii. კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის/შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;

xxix. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

xxx. კვლევის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით, უსდ ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევის/შემოქმედებითი კვლევის პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულების/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის ჩართულობას ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის სტატუსით;

xxxi. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის დაგეგმვისას, უსდ ითვალისწინებს ხელმძღვანელების დატვირთვას, დოქტორანტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;

xxxii. უსდ შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და დოქტორანტთა რაოდენობის თანაფარდობის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად განხორციელებას;

xxxiii. უსდ - ს მიერ განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3-ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე;

xxxiv. უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/ თანახელმძღვანელობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერისტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუების შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელის და არსებობის შემთხვევაში - თანახელმძღვანელის, დანიშვნის, შეცვლის, უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის განსაზღვრის დოკუმენტი. აღნიშნულ პროგრამაზე, დოქტორანტებს ჰყავთ ორი ხელმძღვანელი, სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი კომპონენტის მიმართულებით. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია აირჩიოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არჩევა შეუძლია დოქტორანტსაც პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და

პუბლიკაციები; სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესრულებას(სადისერტაციო ნაშრომის პროექტის შესაბამისად).
საშემსრულებლო ფაკულტეტის დოქტორანტის შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან მოწვეული სპეციალისტი კვალიფიკაციის შესაბამისად. შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელს დასანიშნად სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს წერილობით ინფორმაციას სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე იმის შესახებ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.
ინტერვიუების მსვლელობისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ რეგულარული კონსულტაციები ჰქონდათ სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ისეთ საკითხებზე როგორებიცაა: ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს მაგისტრატურისა/დოქტორანტურის კვლევის დიზაინი, პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება, სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა და სხვა;
უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და დოქტორანტთა თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლება აქვს უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე 3 დოქტორანტს, ხოლო სტატუსის აღდგენის შემთხვევაში მაქსიმუმ 5 დოქტორანტს. ამ ეტაპზე პროგრამას ჰყავს 2 აქტიური სტატუსის და 24 სტატუსშეჩერებული სტუდენტი. დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სამეცნიერო კვლევით კომპონენტის სამეცნიერო ხელმძღვანელების რაოდენობაა 5, ხოლო, შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელების - 3. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნული საკითხი ამ ეტაპზე პრობლემას არ წარმოდგენს, თუმცა, სამომავლოდ სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ყველა სტუდენტის ეფექტურ ხელმძღვანელობას.
უნივერისტეტს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასების მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო ხელმძღვანელის საქმიანობის კომპლექსურ შეფასებას. ინტერვიუებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ისინი მუდმივად ჩართულები არიან აღნიშნულ პროცესში და ყოველ სემესტრულად იღებენ შეფასების ფორმებს ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**შემოქმედებითი კომპონენტი -3**

	სამეცნიერო/ კვლევითი - 5
დოქტორანტების რაოდენობა	**26 (5 აქტიური)**
თანაფარდობა - **ნაშრომების ხელმძღვანელები** /დოქტორანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის წესი
- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასების ფორმა
- სამეცნიერო ხელმძღვანელების შესახებ ინფომაცია

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ყველა სტუდენტის ეფექტურ ხელმძღვანელობას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.2_დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

xxxv. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. დაწესებულებამ პროგრამის განხორცილებაში, არსებობის შემთხვევაში, ასევე უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა;

xxxvi. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/ სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას;

xxxvii. უსდ ხელს უწყობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობას;

xxxviii. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე აქვს სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში და არის დაწესებულების აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებლი პერსონალი მისი ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. პერსონალი შედგება მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირებისგან, უმეტეს შემთხვევაში, პრაქტიკოსებისგან, რაც ძალზე მნიშვნელოვანია წარმოდგენილი - პრაქტიკაზე დაფუძნებული პროგრამისთვის. პედაგოგიური პერსონალი შედგება ცნობილი რეჟისორებისგან, ქართული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებისგან, და ა.შ. რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებაზე. მათ შემუშავებული და გამოქვეყნებული აქვთ სწავლების მეთოდოლოგია, დადგმული აქვთ სპექტაკლები და განხორციელებული აქვთ პროექტები, აქვთ მნიშვნელოვანი დარგობრივი კვლევები, არიან ავტორები მონოგრაფიებისა და სამეცნიერო შრომებისა.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი სფეროს 5 აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - 3 პროფესორი და 4 ასოცირებული პროფესორი. პროგრამის განხორცილებაში ჩართულია 2 სამეცნიერო პერსონალი.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებითა და შემოქმედებითი პროექტებით/ სპექტაკლებით, რაც ადასტურებს სათეატრო ხელოვნების სფეროში მათ კომპეტენტურობას.
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით. მათ ასევე აქვთ სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. ისინი უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში და წარმოადგენენ დაწესებულების აფილირებული აკადემიური პერსონალს.
პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაში შემავალი თითოეული კომპონენტის (მოდული/კურსი და სხვ.) განხორციელება ხდება შესაბამისი კომპეტენციებისა და პროფესიონალიზმის მქონე აკადემიური პერსონალის მიერ. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და კომპეტენციები უნივერსიტეტში დგინდება აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია, აგრეთვე, სათანადო კომპეტენციის მქონე მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო/შემოქმედებითი ნაშრომით (საშემსრულებლო ხელოვნებაში შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტით, (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა) რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას; მოწვეული პერსონალის, ან მასწავლებლის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით. პროგრამებს გააჩნია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო- კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალის სრული დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლ პერსონალზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას; აკადემიურ, მათ შორის აფილირებული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 პირი. აქედან 7 აკადემიური პერსონალი (3 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი), 7 მოწვეული პესონალი და 2 სამეცნიერო პერსონალი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური,	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[4]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[4] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)			**დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[5]**	
სულ აკადემიური პერსონალი	**7**	**7**	**5**	**7**
- პროფესორი	3	3	1	3
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	-			
- ასისტენტი	-			
მოწვეული პერსონალი	7	4	4	_
სამეცნიერო პერსონალი	2	2	2	_
მათ შორის საერთაშორისო პერსონალი				

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

[5] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

xxxix. უსდ-ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;

xl. სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს შესაბამის სფეროში აკადემიური ხარისხი, აქვს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

xli. სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

xlii. დოქტორანტის ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე უსდ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე;

xliii. დოქტორანტის ხელმძღვანელს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები);

xliv. თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს;

xlv. უსდ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის პერიოდულად უზრუნველყოფს იმგვარი ღონისძიებების (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა და სხვა) განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ეფექტურ განხორციელებას;

xlvi. უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტების ხელმძღვანელების წახალისების მექანიზმები.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც აღინიშნა საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტ 4.1-თან მიმართებით შეფასებისას, საგანმანათლებლო პროგრამა გამორჩეულია ძლიერი ადამიანური რესურსით, მათ შორის, დოქტორანტების ხელმძღვანელებით. სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეულ დოქტორანტს ჰყავს როგორც შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელი, ასევე სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელი. თითოეულ დოქტორანტს ჰყავს სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს აკადემიური ხარისხი, არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი და აქვს შესაბამისი გამოცდილება.

დოქტორანტების ხელმძღვანელებს/თანახელმძღვანელებს აქვთ გამოქვეყნებული შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო ნაშრომები, აქვთ მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პროექტები, სპექტაკლები. დოქტორანტების ხელმძღვანელებს აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო და სახელოვნებო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო რეკომენდაცია, კერძოდ - *„დოქტორანტურის დონეზე სათანადო კვლევის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამებისა და სადოქტორო დისერტაციების ყველა ხელმძღვანელს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი“*, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ თითოეულ დოქტორანტს ჰყავს დოქტორის ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით.

უნივერსიტეტის რეგულაციებით, კერძოდ, „დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება“ (უკანასკნელი ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე 11.02.2025, #3), მუხლი 9 არეგულირებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელის დანიშვნის, მისი კვალიფიკაციის, ნაშრომის ხელმძღვანელსა და დოქტორანტებს შორის თანაფარდობის, და სხვა, შესაბამის საკითხებს. აღნიშნული დებულებით, განსაზღვრულია ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას, საერთაშორისო პრაქტიკას. უნივერსიტეტის სადოქტორო სწავლების რეგულაცია, მათ შორის, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მიმართ დადგენილი მოთხოვნები შესაბამისობაშია სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტთან.

შემოქმედებითი კომპონენტების ხელმძღვანელები (ჯამში 3) და სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელები (ჯამში 5) წარმოადგენენ უნივერისტეტის აფილირებული აკადემიურ პერსონალს.

შემოქმედებითი კომპონენტის ხელმძღვანელები

1. გ. მარგველაშვილი - პროფესორი ;
2. ა. ვარსიმაშვილი - პროფესორი;
3. დ. ხვთისიაშვილი - თეატრალური ხელოვნების დოქტორი ასოც. პროფესორი;

სამეცნიერო/ კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელები

1. მ. ხარატიშვილი- ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფესორი ;
2. მ. მამაცაშვილი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მეცნიერთანამშრომელი;

3. მ. კიკნაძე -ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფესორი;
4. თ. ცაგარელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფესორი;
5. თ. ქუთათელაძე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მეცნიერთანამშრომელი;

სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**8**	**6**	**8**
- პროფესორი	2	-	
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	-		
მოწვეული პერსონალი	-		_
სამეცნიერო პერსონალი	2	2	_
მათ შორის საერთაშორისო პერსონალი			

სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში, ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის ხელმისაწვდომია სამეცნიერო და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები/ღონისძიებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- პერსონალის პირადი საქმე;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- -

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.2 დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია]	შესაბამისობაშია

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულება აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება წინასწარდადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, საუნივერსიტეტო რეგულაციებზე დაყრდნობით, ასევე, პერიოდულად ატარებს და იყენებს პერსონალის კმაყოფილების კვლევას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2018-2024 წლების ინფორმაცია განხორციელებული კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების შესახებ, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული ისეთი შეფასებების ანალიზი, როგორიცაა: პერსონალის კმაყოფილების კვლევა, სტუდენტთა გამოკითხვა (მათ მიერ კურსების შეფასება), შემუშავებულია და ხორციელდება დოქტორანტთა მიერ ხელმძღვანელის შეფასება და სხვა.

ასევე, ექსპერტთა მიერ, ვიზიტის ფარგლებში დამატებით იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია ბოლო ორი წლის მანძილზე (პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ) პროფესიული განვითარების ღონისძიებების, მათ შორის, საერთაშორისო მივლინებების დაფინანსების შესახებ, რაც ადასტურებს უნივერსიტეტის მხრიდან პერსონალის განვითარების ღონისძიებების დაფინანსებასა და მხარდაჭერას.

პერსონალის საქმიანობის შეფასება, მათი საქმიანობის სახიდან გამომდინარე, მოიცავს როგორც სასწავლო, კვლევითი, ასევე საშემსრულებლო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას, შეფასების შედეგები კი გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, დაწინაურების და წახალისების მექანიზმების გამოყენებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში კლასტერული **რეკომენდაცია: 1. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა წაახალისოს თავისი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა, განსაკუთრებით მათი, ვინც ჩართულია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში, რათა გაზარდოს არა მხოლოდ მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, არამედ გამოაქვეყნოს სტატიები ადგილობრივ და საერთაშორისო რეცენზირებად (რეფერირებად ან სამეცნიერო) ჟურნალებში.**

დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისთვის აუცილებელი ხარჯებით უზრუნველყოფას.

ამას გარდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა დოკუმენტები სამეცნიერო სტრატეგიის, სამეცნიერო აქტივობისა და მისი მხარდამჭერი მექანიზმების

თაობაზე. აღნიშნულ დოკუმენტებში მკაფიოდაა გაწერილი გამოწვევები, მხარდაჭერის მექანიზმები და პროცედურები. დოკუმენტმა შექმნა საფუძველი, რათა უნივერსიტეტისა და პროგრამის ბიუჯეტშიც გათვალისწინებული იყოს პერსონალის სამეცნიერო აქტივობების წამახალისებელი და მათი მხარდამჭერი ღონისძიებებისთვის შესაბამისი მუხლები.

ამასთან, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს ყოველწლიურ „ხელოვნების მკვლევართა საერთაშორისო კონფერენციაში“, ყოველგვარი ფინანსური დანახარჯის გარეშე გამოაქვეყნოს სტატიები „ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებულში“, გამოცემებში -„სახელოვნებო მეცნიერებების ძიებანი“, „ART-კვლევები“; დაწესებულების მხარდაჭერით უსასყიდლოდ გამოსცეს სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი (გამომცემლობა „კენტავრი“).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის ანგარიში 2018-2024;
- პერსონალის პირადი საქმე;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები;
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია - ინფორმაცია პერსონალის მივლინების, წახალისებისა და საერთაშორისო აქტივობების შესახებ.

[რეკომენდაციები]

- -

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება]	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

i. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი, ციფრული რესურსი, დოქტორანტთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და სხვა), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის;

ii. დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე სხვა ნებისმიერი ლოკაციიდან, ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ კვლევის სფეროს შესაბამის სამეცნიერო რესურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;

iii. უსდ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარებას, როგორც დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;

iv. უსდ მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის სრულიად შესაბამისი რესურსი, ორი, სრულიად აღჭურვილი სცენა განათებით, ხმის აღჭურვილობით, ასევე გარე სცენა, კოსტიუმების ფონდი, გასახდელები. პროგრამის დოქტორანტები, ასევე განმახორციელებელი პერსონალი უზრუნველყოფილია როგორც სასწავლო, ასევე შემოქმედებითი და სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო, მუდმივად განახლებადი მატერიალური რესურსით, მათ შორის, საინფორმაციო და ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სადოქტორო სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდა როგორც შემოქმედებითი კომპონენტის, ასევე სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტის შესრულებისთვის აუცილებელ მატერიალურ რესურსზე. როგორც აღინიშნა, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული თეატრალური სცენები და შესაბამისი აღჭურვილობა ხელმისაწვდომია დოქტორანტებისთვის, ასევე გაფორმებულია მემორანდუმები სხვადასხვა თეატრთან.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიარა და შეაფასა საბიბლითეკო რესურსი, მათ შორის, გადაამოწმა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში, რაც დადასტურდა. ბიბლიოთეკას გააჩნია საძიებო სისტემა, რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონულად და მატერიალურად.

პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები მატერიალურ რესურსთან მიმართებით ეხებოდა ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის დივერსიფიკაციას, მის გამდიდრებას თანამედროვე ლიტერატურით, ასევე, ბიბლიოთეკაში სავალდებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობას. როგორც აღინიშნა, დათვალიერებისა და საბიბლიოთეკო რესურსის შეფასების შედეგად, დადასტურდა ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. რაც შეეხება ლიტერატურის გამრავალფეროვნებას, რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტმა შეისყიდა 45 წიგნი, ასევე, წიგნებით, სახელმძღვანელოებით, ჟურნალებითა და ბეჭდური თუ ელექტრონული მასალით პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით ელექტრონულ კატალოგს დაემატა 347 ერთეული წიგნი, სტატია, ჟურნალი.

დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული სამეცნიერო ბაზები. საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017-თან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტს კორპორატიული მეილის გამოყენებით წვდომა აქვს შემდეგ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე: Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core); e-Duke Journals Scholarly Collection (https://read.dukeupress.edu/); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/); OpenEdition Journals (https://journals.openedition.org/); SAGE Journals (https://journals.sagepub.com). დოქოტრანტთა მიერ სამეცნიერო ბაზების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, ბიბლიოთეკამ მოამზადა პროფილური ჟურნალების სია.

წარმოდგნილი ანალიზი ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტის მატერიალური რესურსი შეესაბამება სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს, აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები კი შესრულებულია.

მატერიალური რესურსი თავისუფლად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის, ისინი ინფორმირებულნი არიან უნივერსიტეტის რესურსების შესახებ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკის დათვალიერების მომენტში, დროებით შეფერხებული იყო სამეცნიერო ბაზებზე წვდომა, რაც უნივერსიტეტში IP-მისამართების ცვლილებით იყო გამოწვეული, თუმცა, აღნიშნული ფაქტი დროებითი შეფერხება იყო და მიმდინარეობდა მისი გამოსწორება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- წიგნების შესყიდვის დამადასტურელებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები.
- პროფილური ჟურნალების ჩამონათვალი.

[რეკომენდაციები]

- -

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4. მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

v. უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის დოქტორანტის მხარდამჭერ და დაფინანსების მექანიზმებს;

vi. უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის მიერ კვლევების განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს/მექანიზმებს, მათ შორის სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებში, კვლევით/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის, მონოგრაფიების გამოცემისთვის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური ხარჯების დაფინასებას;

vii. უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელების მიზნით, ითვალისწინებს სამეცნიერო- კვლევითი/სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარებას;

viii. უსდ ხელს უწყობს გარე დაფინანსების წყაროების მოძიებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიზნობრივი კვლევების განხორციელებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო პროგრამისთვის შემუშავებულია ბიუჯეტი, რომელშიც გაწერილია და რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის უზრუნველყოფას, პროგრამის ფინანსურ მდგრადობას და მოიცავს სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და დოქტორანტთა მხარდაჭერისთვის საჭირო მუხლებს. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები.

პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია, თითოეულ პროგრამას ჰქონდეს შემუშავებული ინდივიდუალური ბიუჯეტი, შესრულდა. ბიუჯეტი ითვალისწინებს დოქტორანტთა ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის დაფინანსებას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია როგორც უნივერსიტეტის ბიუჯეტით, ასევე სახელმწიფო დაფინანსებით. აღსანიშნავია, რომ დოქტორანტთა ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლების საფასური მინიმალურია (1000 ლარი წლიური საფასური). ამასთან, სადოქტორო სწავლების ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნათა დამტკიცების კვალდაკვალ, ინტერვიუს საფუძველზე, იზრდება სადოქტორო სწავლებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

ix. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, რესურსების, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება სადოქტორო პროგრამის, უსდ-ს საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

x. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ფასდება პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობა და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

xi. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სადოქტორო პროგრამისა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნებისთვის;

xii. სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით, სადოქტორო პროგრამის განხორციელების შეფასებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (დოქტორანტი, კურსდამთავრებული, პერსონალი, დოქტორანტის ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელი, დამსაქმებელი და სხვა).

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები ეფუძნება უწყვეტი განვითარების (PDCA) ციკლს. დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების თანმიმდევრული გამოყენება პროგრამის უწყვეტი განვითარების მიზნით.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და უნივერსიტეტის, ისევე როგორც ფაკულტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამრომშლობა დადასტურდა ინტერვიუების შედეგად, რაც გულისხმობს პერსონალის ჩართულობას შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების განხორციელების პროცესში მათ ჩართულობას.

ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებაში იმყოფებოდა მონიტორინგის წარმოების ვიზიტზე, წარმოება არ ითვალისწინებდა სრული თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას, თუმცა, ჯგუფი გაესაუბრა რეკომენდაციების შესრულებასა და რეკომენდაციების შესრულების შესახებ თვითშეფასების ანგარიშის მომზადების ჯგუფს, რომელთა ჩართულობა, როგორც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში რეკომენდაციების შესრულების, ასევე ანგარიშის მომზადების პროცესში დადასტურდა. ჯგუფი მოიცავდა ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, მათ შორის, აკადემიური, ადმინისტრაციული

პერსონალი, დოქტორანტი. ასევე დადასტურდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, მათ შორის, პროგრამისთვის განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების და შეფასების შედეგების ანალიზში მოწვეული პერსონალისა და დამსაქმებლების ჩართულობა.

შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პირებთან ერთად, მუდმივად ზრუნავს როგორც შიდა, ასევე გარე შეფასების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, ხარისხის შეფასების შედეგებს კი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იყენებს პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებას. დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებსა და ინსტრუმენტებზე წარმოდგენილია დასკვნის 5.3 სტანდარტის კომპონენტის აღწერისა და ანალიზის ნაწილში.

რაც შეეხება სადოქტორო პროგრამის ხარისხის შეფასების მიდგომებს, უნივერსიტეტში დანერგილია დოქტორანტთა მიერ ხელმძღვანელის შეფასების პროცედურა, შემუშავებული ფორმის შესაბამისად. დოქტორანტები ასევე აფასებენ პროცესის ადმინისტრირებასა და მხარდაჭერას, ხელმისაწვდომ რესურსებს. შესაბამისად, უზრუნვველყოფილია დოქტორანტთა მიერ მათი სასწავლო და სამეცნიერ-კვლევითი თუ შემოქმედებითი კომპონენტის ხარისხის შეფასება. დოქტორანტების ხელმძღვანელების საქმიანობა ასევე ექვემდებარება პერიოდულ შეფასებას.

სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით კოლეგიური შეფასება ხორციელდება სტანდარტის კომპონენტ 5.2-ში აღწერილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული „დრამის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასების წესი და ფორმები“ (დამტკიც. აკად. საბჭოს სხდომაზე N21, 29.11.2024) - ის შესაბამისად.

რაც შეეხება აკრედიტაციის ფარგლებში სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებს, გაცემული იყო ორი კლასტერული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა დამაქმებლებთან ოფიციალური ურთიერთობის დამყარებასა და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფაც, რაც, შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი;
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები და დანართები.

[რეკომენდაციები]

- -

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის განვითარებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული როგორც პროგრამული, ასევე კლასტერული რეკომენდაციები შესრულებულია, რაც ადასტურებს დაწესებულების მზაობას გამოიყენოს გარე ხარისხის შეფასების შედეგები საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უწყვეტი განვითარებისთვის.

დაწესებულებას სტანდარტის კომპონენტ 5.2-თან მიმართებით განესაზღვრა რეკომენდაცია „რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნას პროგრამის გარე შეფასების სტრატეგია და დაეხმაროს უნივერსიტეტს, მიიღოს კოლეგიალური შეფასება კლასტერის თითოეული პროგრამისთვის, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში“ რომელიც ასევე შესრულებულია. რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა „დრამის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასების წესი და ფორმები“ (დამტკიც. აკად. საბჭოს სხდომაზე N21, 29.11.2024), რომლის შესაბამისად მიმდინარეობს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების გამოხმაურებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები და დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება (04/12/2023);
- კლასტერული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში.

რეკომენდაციები

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, დოქტორანტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება წინასწარდადგენილი პერიოდულობით, შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, საჭიროების შემთხვევაში, ხდება პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, მექანიზმები და პროცედურები“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 28.07.2025, #10), რომელიც განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, სხვადასხვა პროცესის/საქმიანობის სფეროს ხაარისის განმსაზღვრელ ფაქტორებს, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს, მექანიზმებს, გამოყენების მიზნებს, ინსტრუმენტებს, ასევე, ხარისხის კვლევის განხორციელების სტრატეგიას.

ასევე, შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და მათი განხორციელების პერიოდულობის ცხრილი, სადაც განსაზღვრულია კვლევის სამიზნე ჯგუფი, კვლევის თემატიკა და კვლევის ჩატარების პერიოდი. კერძოდ, შიდა ხარისხის შეფასებისთვის გამოიყენება: სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების კითხვარი (სემესტრის ბოლოს); საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი (საგაზაფხულო სემესტრი, დამამთავრებელი კურსის სტუდენტები); სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, ხელშეწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით კმაყოფილების კითხვარი (სტუდენტები, 3 წელიწადში ერთხელ); კითხვარი საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის შესახებ

(ყოველწლიური); კითხვარი საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის შესახებ; ბაზრის კვლევის კითხვარები დამსაქმებლებისთვის; აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიშები. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, სამივე საფეხურზე, ტარდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი.

ხარისხის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზში დაწესებულებამ წარმოადგინა დრამის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც ასევე მოიცავს წლის მანძილზე განხორციელებული ხარისხის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზს, გაცემულ რეკომენდაციებს და ადასტურებს ხარისხის შეფასების შედეგად, კომპლექსური მონაცემების სინთეზს და მათ გამოყენებას პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით.

როგორც აღინიშნა, ყოველი სემესტრის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ სემესტრის მანძილზე განვლილ კურსებს, სასწავლო კურსების ლექტორებს, დოქტორანტები აფასებენ სასწავლო კომპონენტის ფარგლებში გავლილ კურსსა და შესაბამის განმახორციელებელ პირს, ასევე, აფასებენ დოქტორანტის ხელმძღვანელს. დაწესებულებამ წარმოადგინა როგორც დოქტორანტის კითხვარი, ასევე შევსებული ნიმუში.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შიდა უზრუნველყოფისა და უწყვეტი განვითარებისთვის დაწესებულებას შემუშავებული და დანერგილი აქვს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის შესაბამისი, ყოველმხრივი მეთოდები და ინსტრუმენტები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, მექანიზმები და პროცედურები“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 28.07.2025, #10);
- დრამის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- ხარისხის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი;
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია.

[რეკომენდაციები]

- -

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

არ ერთვის

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ ჩხეიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა თინათინ გაბრიჩიძე 

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ თხელიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა